ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№40 (1550) 29 აპრილი, 1997 წელი

## ნადიბაიძე ვარდიკო ქართულს არ სწავლობს, ზარმაცობს!..

2

## უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

საზოგადოებას მოეხსენება, რომ 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის პროექტთა განხილვის პროცესში შემოთავაზებულ იქნა, ხოლო მანამდე რამდენიმე პარტიისა და პოლიტიკური პუბლიცისტის მიერ წამოყენებულ იქნა საქართველოს „ფედერალური მოწყობის" ანუ *მთელი საქართველოს ფედერალურ ერთეულებად დაყოფის* გეგმა. ცნობილია ისიც, რომ საკონსტიტუციო მუშაობის პროცესში ამ გეგმის ავტორებად და მომხრეებად გამოვიდნენ სახელმწიფოს მეთაური ე.შევარდნაძე, მისი თანამოპარტიენი და პოლიტიკური თანამოაზრენი და რომ მხოლოდ მაშინდელი საპარლამენტო ოპოზიციის წინააღმდეგობის პერსპექტივამ (ანუ იმის განჭვრეტამ, რომ საქართველოს ფედერალური მოწყობის შემცველი პროექტი კონსტიტუციისა ვერ მიიღებდა ხმათა საჭირო ორ მესამედს) აღებინა ინიციატორებს ხელი ამ მუხლების გამოტანაზე კენჭის საყრელად. დღეს საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის თემა დროებით გამოტოვებულია, მაგრამ დიდი ალბათობაა, რომ დღევანდელმა პარლამენტმა, რომელიც პრეზიდენტის ნების მორჩილია, ეს მიიღოს.

ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ *საქართველოს ფედერალიზაციის ზემოხსენებული გეგმა არა მხოლოდ არამეცნიერულია (ანუ არ ემყარება არავითარ გათვლას მართვის ოპტიმალური ქმედითობის, ეკონომიურობის, სიმარტივის, სიიაფის, ან სხვა რამ მახასიათებლების თვალსაზრისით. ამაზე – ქვემოთ), არამედ იგი ანტიმეცნიერულიცაა, ანუ იგი ეწინააღმდეგება სოციოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ მოპოვებულ მთელ რიგ ისეთ შემოწმებად ჭეშმარიტებებს, რომელთა ძალითაც*

4



„იგორ გიორგაძეს და ჯაბა იოსელიანს ტერაქტში არავითარი ბრალი არ მიუძღვით"

3



## ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე

**მაგალითი მეოთხე:** „ინდივიდი აზროვნებს და არა ხალხი, გვმოძღვრავს ერქომაიშვილი. კი მაგრამ ხალხი ინდივიდებისაგან არ შედგება?" – კითხვას სვამს გაკვირვებული ოპონენტი.

სწორია, რომ ხალხი ინდივიდებისგან შედგება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ხალხი ინდივიდია. ინდივიდის თვისებები არ შეიძლება გადავიტანოთ ხალხზე. მაგალითად, ინდივიდს ორი ფეხი და ორი ხელი, ორი თვალი და ორი ყური, სხეული და წონა აქვს. აღნიშნული თვისებები მივაწეროთ ხალხსაც? მართალია, ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად ვამბობთ – „ხალხის თვალი", „ხალხის აზრი", „ხალხის გონება" და ა.შ. ისინი ფიგურალური, ხატოვანი გამოთქმებია და უნდა გავიგოთ გადატანითი, მაგრამ არა პირდაპირი მნიშვნელობით.

**მაგალითი მეხუთე:** „ნუთუ ფილოსოფოს პროფესორს ვერ წარმოუდგენია ინტელექტუალური ძალისხმევის გაერთიანება, როგორც, მაგალითად, ფიზიკურ ძალას აერთიანებენ ხოლმე ინდივიდები, ვთქვათ, მძიმე ტვირთის აწევის ანდა ბაგირის გადაჭაჩვის დროს?" – გაოცებულია ოპონენტი.

ეს შედარება იმდენად კურიოზულია, რომ იგი კომენტარსაც არ საჭიროებს.

მაგალითი მეექვსე: „მაგრამ რა უნდა ელაპარაკო კაცს, რომელსაც ხალხური პოეზიის შესახებაც კი არაფერი სმენია და მის არსებობას გამორიცხულად მიიჩნევს", – აღშფოთებულია ოპონენტი.

მე ხალხური პოეზიის შესახებ არათუ მსმენია, არამედ ვიცი, თუ რას ნიშნავს იგი. ყოველ ხალხურ ლექსს თავისი ავტორი ჰყავს. პირველად იგი ამბობს მას და შემდეგ ვრცელდება ხალხში. ლექსი თაობიდან თაობებს გადაეცემა არა წერილობით, არამედ ზეპირსიტყვაობის მეშვეობით. ყოველ მთქმელს რაღაც ცვლილება შეაქვს მასში. როდესაც ლექსის ჩაწერა ხდება, მისი შექმნის ისტორია უკვე მთავრდება და იგი ლიტერატურულ ქმნილებად იქცევა. რადგან მისი ავტორის (პირველი მთქმელის) ვინაობა დაკარგულია, იგი ითვლება ხალხურ ლექსად. ხალხი არ იკრიბება ერთად და კოლექტიური აზროვნების შედეგად არ ქმნის ლექსს. პოეზია ხალხურია არა იმის გამო, რომ მას ხალხი ქმნის კოლექტიურად ერთად შეკრების დროს, არამედ იგი ხალხში ვრცელდება ინდივიდების (მთქმელების) მიერ ზეპირსიტყვაობით.

მე გავაანალიზე ოპონენტის მიერ მოტანილი ყველა მაგალითი. არც ერთი მათგანი არ არღვევს ჩემს თეზისს: აზროვნება ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. აზროვნებენ ინდივიდები და არა ხალხი. პოეზიას ქმნიან პოეტები, მეცნიერებას – მეცნიერები, ფილოსოფიას – ფილოსოფოსები, იდეოლოგიას – იდეოლოგები, მაგრამ არა ხალხი.

### ოპონენტს ვთხოვ სასწრაფო და დროულ დახმარებას

ოპონენტმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენა. საქმე ისაა, რომ მისი სტატიის გაცნობის შემდეგ ჩემმა

2

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №38,39.

## იაკობიძემ პრეზიდენტის იმედები ვერ გაამართლა

პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით გამართულ სამთავრობო სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად გააკრიტიკა ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე. ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ მინისტრმა მისი იმედები ვერ გაამართლა და ახლა იძულებულია სხვაგვარად იმოქმედოს. სხდომის დამთავრების შემდეგ BGI-ის კორესპონდენტმა პრეზიდენტს კითხვით მიმართა: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დავით იაკობიძე განთავისუფლებული იქნება ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან? რაზედაც ედუარდ შევარდნაძემ გაიცინა და უპასუხა:

– გთხოვთ, ჩემს სიტყვებს ნუ გადათარგმნით, თორემ დაწერთ, რომ მინისტრი მოხსნეს და... მე რომ გადავიფიქრო?

თუმცა, ამ საუბრის მომსწრე ერთმა კომპეტენტურმა მაღალი თანამდებობის პირმა კორესპონდენტს აცნობა, რომ აღდგომის შემდეგ იქნება ბრძანება დავით იაკობიძის განთავისუფლების შესახებ.



## „ფოთს ახალი ხელმძღვანელი სჭირდება"

მთავრობის სხდომა მარტო საქართველოს ფინანსთა მინისტრისათვის როდი აღმოჩნდა საბედისწერო. მოულოდნელად საქართველოს პრეზიდენტმა ფოთის საკითხი წამოსწია და განაცხადა, რომ ქალაქი ისე არ ვითარდება, როგორც ეს საზღვაო პორტს შეეფერება – გაჩერებულია გემთმშენებლობა, თევზჭერის დარგი. ამაში პრეზიდენტმა ქალაქის მერი ნუგზარ ნადარაია და პორტის უფროსი ვალერი გეგიძე დაადანაშაულა. ედუარდ შევარდნაძის თქმით, უძრაობიდან ქალაქის გამოყვანა მხოლოდ ახალ ხელმძღვანელობას შეუძლია, რომელსაც ამისათვის აუცილებელი ორგანიზატორული მონაცემები უნდა გააჩნდეს. (ბი ჯი აი)

## საპროტესტო ნოტა რუსეთის საელჩოს

რამდენიმე დღის წინათ ალექსეევკის აეროდრომიდან აფრინდა რუსეთის სასაზღვრო დეპარტამენტის სატრანსპორტო ვერტმფრენი МИ-8, რომელსაც ფრენის მართვის ცენტრიდან ნებართვა არ ჰქონდა მიღებული. ეს იყო საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენის შესახებ დადებული შეთანხმებების დარღვევა. გარდა ამისა, ვერტმფრენის მფრინავებმა უარი განაცხადეს საბაჟო შემოწმების გავლაზე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა რუსეთის საელჩოს საქართველოში. (ბი ჯი აი)

## პასუხგაუცემელი კითხვები ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გმირობად

# ერთ-ერთი პასუხგაუცემელი კითხვა



საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის არის ცნობილი, 19 მწარე შეკითხვა მივეცით, რომლებზედაც ბატონმა ვარდიკომ პასუხების გაცემა არ ინება. ბატონ ვარდიკოს ნაცვლად, მკითხველი აგერ უკვე რამდენიმე ნომერია თვალს ადევნებს ჩვენი ცნობილი პარლამენტარების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ გაცემულ პასუხებს ცალკეულ კითხვებზე, მეტ-ნაკლები კომპეტენტურობით თითოეული მათგანი მინისტრის ნაცვლად პასუხობს მინისტრისათვის დასმულ შეკითხვებს...

ერთ-ერთი კითხვა ასე გვქონდა ჩამოყალიბებული: „ბატონო ვარდიკო, თქვენი მშობლიური კუთხე მთიულეთია. საზოგადოებამ ნაკლებად იცის თქვენი ბიოგრაფია, გთხოვთ, გვიამბოთ..."

რაკი არც ამ კითხვას გასცა პასუხი პატივცემულმა ვარდიკომ, იძულებული გავხდით, სხვა მოგვეძებნა, ვინც ბატონ ვარდიკოს სიყმაწვილისა და საერთოდ ბიოგრაფიის წლებს გაიხსენებდა, მაგრამ ამაოდ. ასეთი კაცი ვერსად ვიპოვეთ...

ის-ის იყო იმედი გადაგვეწურა, რომ რედაქციის კარი ცნობილმა პოეტმა ზაურ ბოლქვაძემ შემოაღო და ზემოხსენებული კითხვის პასუხი ლექსად წარმოგვიდგინა. აი, ეს ლექსიც -

ნადიბაიძე ვარდიკო
ქართულს არ სწავლობს,
ზარმაცობს!..
ამბობენ, ქართველი იყო
მაგის დედაც და მამაცო!

### საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი დსთ-ის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელად დაინიშნა



საქართველოს უშიშროების მინისტრი დსთ-ის სპეცსამსახურების საბჭოს ხელმძღვანელად აირჩიეს. კენჭისყრა 26 აპრილს გაიმართა დსთ-ის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს დედაქალაქში მიმდინარეობდა 23-27 აპრილს. (ბი ჯი აი)

### რკინიგზა ხელს შეუწყობს ქართველების გათურქებას

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტსაბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც კატეგორიულ პროტესტს აცხადებს საქართველო-თურქეთის რკინიგზის მშენებლობაზე ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით ისინი შემდეგ არგუმენტებს იშველიებენ: უპირველეს ყოვლისა, პროექტის განხორციელება იქამდე მიგვიყვანს, რომ საქართველო უვარგისი თურქული პროდუქციის გასაღების ბაზრად იქცევა, რაც საბოლოოდ დაღუპავს სამამულო წარმოებას. ფაქტიურად, ფუნქციონირებას შეწყვეტენ ბათუმისა და ფოთის პორტები, რადგან ევრაზიული დერეფნით ტვირთი პირდაპირ თურქეთში წავა. და კიდევ ერთი, - რკინიგზა ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის გათურქებას. საქართველოს სოციალ-დემოკრატები თხოვნით მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს, ყურადღება მიაპყროს ამ საკითხს. (ბი ჯი აი)

● პოლემიკა

# ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე

ვახტანგ ერქომაიშვილი

პირველი გვერდიდან

სტუდენტებმა დამისვეს კითხვები:

- ვინ დაწერა „ვეფხისტყაოსანი" - რუსთველმა თუ ქართველმა ხალხმა?

- ვინ აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი - ნიუტონმა თუ ინგლისელმა ხალხმა?

- მირიანაშვილის სტატია დაწერა თვით ავტორმა თუ ქართველმა ხალხმა? იგი მისი თუ ხალხის კოლექტიური ნააზრევია?

ვერ გამიცია სტუდენტებისთვის პასუხი. ჩემს უმეცრებას ფილოსოფიაში რომ არ მიემატოს უმეცრება სტუდენტების წინაშე, ვთხოვ ოპონენტს დახმარებას. სასწრაფოდ გამოაქვეყნოს სტატია და წერილობით უპასუხოს ზემოთ დასმულ კითხვებს.

### ამერიკული ოცნების, როგორც ამერიკის სახელმწიფო იდეოლოგიის შესახებ

ოპონენტი დაჟინებით ამტკიცებს, რომ არსებობს ამერიკული ოცნება, როგორც ამერიკის სახელმწიფო იდეოლოგია. მე კატეგორიულად უარვყოფ ამას. აღშფოთებული ოპონენტი წერს: „მაგრამ ფილოსოფიის პროფესორმა და ჩვენმა მენტორმა ერქომაიშვილმა ეს არ იცის". ახლა ვნახოთ, რა არ იცის ერქომაიშვილმა: ამერიკული ოცნება იმდენი ხანია არსებობს, რამდენიც ამერიკელი ერი. შეუძლებელია ამერიკელი მწერლის დასახელება, რომელსაც ამერიკული ოცნება არ ეხსენებინოს. ფოლკნერმა დაწერა ბრწყინვალე ესე: „პირადი ცხოვრება (ამერიკული ოცნება: რა მოუვიდა მას?)". აქ ყველაფერზეა ლაპარაკი, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, თუ რა არის ამერიკული ოცნება და რატომ არის იგი სახელმწიფო იდეოლოგია. ის, რომ ერქომაიშვილი უმეცარია ან ფოლკნერმა დაწერა ბრწყინვალე ესე, აქედან არ გამომდინარეობს, რომ არსებობს ამერიკელი ერის ოცნება, რომელიც სახელმწიფო იდეოლოგიაა. ამერიკულ სიგარეტებსაც ჰქვია „ამერიკული ოცნება", მაგრამ არც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ იგი სახელმწიფო იდეოლოგიაა.

ახლა ზოგადად დავსვათ კითხვა: შეიძლება ოცნება იყოს იდეოლოგია? იდეოლოგია არის ადამიანთა რეალური მოქმედების პროგრამა, გეგმა, პროექტი, რაც გნებავთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ოცნება. რატომ ღებულობს სახელმწიფო იდეოლოგიას? იმიტომ, რომ განახორციელოს საკუთარი მიზნები და დაიცვას თავისი სასიცოცხლო ინტერესები. ამისთვის მას ოცნება არაფერში გამოადგება და ვერც გაიხდის თავის სამოქმედო პროგრამად. წარმოვიდგინოთ სახელმწიფო, რომელიც ოცნებით იხელმძღვანელებს თავის საქმიანობაში, რა დღეში აღმოჩნდება იგი. ამერიკელები პრაგმატული ხალხია, ეს ჩვენ - ქართველები ვართ მეოცნებე რომანტიკოსები და არა რეალისტები.

ოპონენტი აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ერქომაიშვილს „ალბათ არც ამერიკულ ლიტერატურაზე სმენია რამე".

დავუშვათ, ერქომაიშვილი იმდენად უმეცარია, რომ მას არაფერი სმენია ამერიკულ ლიტერატურაზე. მაშინ როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამერიკელმა სოციოლოგებმა დანიელ ბელმა და ედუარდ შილზმა 60-იან წლებში გამოაქვეყნეს ნაშრომები „იდეოლოგიის დასასრული" და უარყვეს სახელმწიფო იდეოლოგიის საჭიროება. დავიჯეროთ, რომ მათაც არაფერი სმენიათ ამერიკულ ლიტერატურაზე? და თუ ესეც დასაჯერებელია, მაშინ მე ერთი თხოვნა მექნება ოპონენტთან: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დანიელ ბელი ჯერ კიდევ ცოცხალია. ნუ დავტოვებთ მას უმეცრებაში, გაანათლეთ იგი, ბოლოს და ბოლოს, ისიც პროფესორია, ხოლო პროფესორების განათლება, თუ თქვენი პროფესია არა, ყოველ შემთხვევაში, მოვალეობაა...

### თეორიის და იდეოლოგიის მიმართება

ოპონენტი ამტკიცებს, რომ არ არსებობს დაპირისპირება თეორიასა და იდეოლოგიას შორის, რაც საცნობარო ლიტერატურაშიცაა დაფიქსირებული. იგი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მე ეს ფაქტი არ ვიცი.

მე ერთმანეთს არ ვუპირისპირებ თეორიას და იდეოლოგიას. მე მხოლოდ განვასხვავებ მათ: თეორია სხვაა, ხოლო იდეოლოგია სულ სხვა. თეორია თავისთავად იდეოლოგია არ არის, იგი შეიძლება გახდეს სახელმწიფო. რა შემთხვევაში? თუ მას სახელმწიფო აღიარებს ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიად და გაიხდის თავის სამოქმედო პროგრამად. ამისთვის აუცილებელია ხელისუფლებამ მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება და მოცემული თეორია ოფიციალურად გამოაცხადოს თავის დოქტრინად. ამგვარი დადგენილების გარეშე ვერც ერთი თეორია სახელმწიფო იდეოლოგია ვერ გახდება. საილუსტრაციოდ განვიხილოთ მარქსიზმის თეორიის სახელმწიფო იდეოლოგიად გარდაქმნის პროცესი. მარქსიზმი, როგორც თეორია, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში. იგი შექმნეს მარქსმა და ენგელსმა, მაგრამ არა გერმანელმა ხალხმა. რომელი სახელმწიფოს იდეოლოგია იყო იგი? არც ერთის. პირიქით, მაშინდელი სახელმწიფოები სდევნიდნენ და ებრძოდნენ მას. იგი სახელმწიფო იდეოლოგია გახდა რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. კომუნისტურმა ხელისუფლებამ ოფიციალურად მიიღო დადგენილება, რომ მისი იდეოლოგია არის მარქსიზმი. ამის შემდეგ მარქსიზმის თეორია გახდა სახელმწიფო იდეოლოგია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან დაკარგა აღნიშნული სტატუსი, მაგრამ მარქსიზმი, როგორც თეორია, კი არ გამქრალა. იგი არსებობს და მომავალშიც იარსებებს. მაშასადამე, ჯერ თეორია იქმნება, ხოლო იგი შემდგომ შეიძლება იმ სახელმწიფოს იდეოლოგია გახდეს, რომელიც მას ოფიციალურად აღიარებს თავის ერთადერთ ჭეშმარიტ დოქტრინად. ამგვარი აღიარების გარეშე ვერც ერთი თეორია ვერ გახდება სახელმწიფო იდეოლოგია.

### იდეოლოგია დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი?

იდეოლოგია ძირითადად უარყოფით როლს ასრულებდა ისტორიაში. გავიხსენოთ, რა უბედურებანი დაატება თავს კაცობრიობას ფაშისტურმა და ბოლშევიკურმა იდეოლოგიებმა. როდესაც მე ვამბობ „ძირითადად" მხედველობაში მაქვს შემდეგი: იდეოლოგია შეიძლება დადებით როლს ასრულებდეს მანამ, სანამ სახელმწიფო იდეოლოგია გახდებოდეს. მაგრამ როგორც კი სახელმწიფო სტატუსს შეიძენს, იგი ხდება გაბატონებული და მონოპოლიური, ამიტომ იქცევა სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნის და განადგურების იარაღად. ავიღოთ ქრისტიანობის სახელმწიფო იდეოლოგიად გარდაქმნის პროცესი. დასაწყისში იგი სახელმწიფო იდეოლოგია არ იყო. მასში ჩაგრულნი და მაშვრალნი ხედავდნენ თავიანთ ნუგეშს და იყენებდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პერიოდში იგი დადებით როლს ასრულებდა. მაგრამ შუა საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო იდეოლოგიად იქცა, მას შედეგად მოყვა: ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია, ერეტიკოსების დევნა, ადამიანების საჯაროდ კოცონზე დაწვა და ა.შ. ეს არ ეხება ქრისტიანულ რელიგიას თავისთავად. იგი კაცთმოყვარეობისა და მიტევების პრინციპებს ეყრდნობა. უარყოფითი შეფასება ეხება ქრისტიანობას, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიას. სახელმწიფოს ხელში იგი გადაიქცა ისეთ ძალად, რომელიც ებრძოდა და ახშობდა თავისუფალ აზროვნებას. ასე დაემართება ყველა თეორიას, როდესაც სახელმწიფო იდეოლოგიად ჩამოყალიბდება, რაგინდ ჰუმანურ პრინციპებს არ ეყრდნობოდეს იგი.

XIX-XX საუკუნეების თითქმის ყველა გამოჩენილი მოაზროვნე უარყოფითად აფასებს იდეოლოგიას. მარქსიც და ენგელსიც კი იდეოლოგიას უწოდებენ „უკუღმართ ცნობიერებას". XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დასავლურ აზროვნებაში დასაბამს იღებს დეიდეოლოგიზაციის კონცეფცია, რომელიც უარყოფს სახელმწიფო იდეოლოგიის მიზანშეწონილებას. მიჩნეულ იქნა, რომ იდეოლოგია და მეცნიერება გამორიცხავს ერთმანეთს.

დასავლურ აზროვნებაში დამკვიდრებული ამგვარი ტრადიცია პირველად დაარღვია ლენინმა. მან ნაშრომში - „რა ვაკეთოთ" წამოაყენა მეცნიერული იდეოლოგიის შექმნის შესაძლებლობის იდეა. ამგვარ იდეოლოგიად მას მიაჩნდა მხოლოდ მარქსიზმი, ხოლო ყველა დანარჩენს უარყოფდა, როგორც რეაქციულს და ანტიმეცნიერულს.

საბჭოთა პერიოდში გამოცემულ საცნობარო ლიტერატურაში იდეოლოგია შეფასებულია დადებითად. ეს გასაგებია, რადგან იგი დაწერილია ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე. მაგრამ აქაც უნდა გაკეთდეს ერთი შენიშვნა: დადებითი მნიშვნელობა მიეწერება მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, ხოლო ყველა დანარჩენი შეფასებულია უარყოფითად.

### ოპონენტი რობესპიერის აზრს მიაწერს ერქომაიშვილს

„ერქომაიშვილი გვმოძღვრავს - ტერორი სათნოების გარეშე ბრმაა" - წერს ოპონენტი.

მე ყოველგვარი ტერორის წინააღმდეგი ვარ - სათნოებით განხორციელდება იგი თუ მის გარეშე. ტერორს ამართლებდა რობესპიერი, ოღონდ თუ იგი შერწყმული იქნებოდა სათნოებასთან. მას, და არა მე, მიაჩნდა, რომ ტერორი სათნოების გარეშე ბრმაა.

რობესპიერს ეკუთვნის მეორე პრინციპიც: რევოლუცია თავის მტრებს კი არ სჯის, არამედ სპობს.

სამწუხაროდ, რობესპიერი აღნიშნულ პრინციპებს არა მარტო თეორიულად ასაბუთებდა, არამედ პრაქტიკულად ახორციელებდა. იგი იყო იაკობინელთა მიერ მოწყობილი მასობრივი ტერორის თეორეტიკოსი და ორგანიზატორი. ამის გამო რობესპიერი ითვლება იაკობინელთა დიქტატურის მთავარ იდეოლოგად.

### იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას „შუა უზის დიდი ზღვარი"

ოპონენტი წერს: „ნათაძემ ერქომაიშვილისაგან განსხვავებით იცის ტერმინ „იდეოლოგიის" მნიშვნელობა". ამის დასადასტურებლად ნათაძის წერილიდან მას მოაქვს შემდეგი დებულება: „იდეოლოგია არის სისტემა შეხედულებებისა იმაზე, თუ ვინა ხართ, რა ხართ, რისთვის ხართ, რა გინდათ და რისთვის არის გამართლებული თქვენი არსებობა".

ეს დებულება არის არა იდეოლოგიის, არამედ მსოფლმხედველობის განმარტება. ამასთან იგი

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი კვარტლის ბიუჯეტი არ შესრულდა

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილებოდა პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების საკითხი. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ვლადიმერ პაპავას თქმით, ბიუჯეტი 86 პროცენტით შესრულდა. საშემოსავლო ნაწილში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებმა 103,2 მილიონი ლარი შეადგინეს. საგადასახადო ინსპექციამ ბიუჯეტში 91,1 მილიონი ლარი გადარიცხა, რაც პროგნოზირებულის 88,2 პროცენტს შეადგენს. საბაჟოდან ბიუჯეტში 30,7 მილიონი ლარი შემოვიდა (92,7 პროცენტი). საბიუჯეტო ხარჯებმა 166,8 მილიონი ლარი შეადგინეს. საშუალო თვიური ინფლაცია 1,2 პროცენტის ზღვარზე მერყეობდა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა ამ შედეგებს არადამაკმაყოფილებელი უწოდა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქ მრეწველობაში წარმოების ორმაგი ზრდა დაფიქსირდა, რეალურად ეს ნიშნავს, რომ გამოშვებულია 800 კოსტიუმი და 600 წყვილი ფეხსაცმელი. (ბი ჯი აი)

## პასუხისმგებელ მუშაკებს სახელმწიფოებრივი აზროვნება უნდა ჰქონდეთ

„ამიერიდან მთავრობის გაფართოებულ სხდომებზე დაისმება იმ სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელების საკითხი, რომლებიც დათქმულ დროზე არ შეასრულებენ მთავრობის დავალებებს" - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ნ.ლეკიშვილმა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე. მისი თქმით, ხშირად შეუძლებელია ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ადგილზე პოვნა, რადგან ისინი პირადი საქმეებით არიან დაკავებულნი. „დროა გარკვევა - ან სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწეობა, ან პირადი საქმეები" - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. მისივე განცხადებით, აუცილებელია სახელმწიფოებრივი და უწყებრივი აზროვნების განსაზღვრა, რის შედეგადაც საერთო საქმე ზარალდება. (იფრინდა)

## ბიუჯეტის დეფიციტმა 5.8 პროცენტი შეადგინა

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით ეროვნულ ბიუჯეტში საგადასახადო სამსახურის ხაზით შესულია 68 მილიონი ლარი, რაც დამტკიცებული ანალოგიური მაჩვენებლის 94,2 პროცენტს შეადგენს - განუცხადეს BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით დღევანდელი მოცულობა 1,7-ჯერ გაიზარდა და 27.2 მილიონი ლარით გაიზარდა.

საგადასახადო შემოსავლების ყველაზე კარგი მაჩვენებლები დაფიქსირებულია თბილისში, შემდეგ მოდის კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-თიანეთი და რაჭა-ლეჩხუმი.

# გურამ მუხაიძე: „იგორ გიორგაძეს და ჯაბა იოსელიანს ტერაქტში არავითარი ბრალი არ მიუძღვით"

*BGI-ის კორესპონდენტი ეკა ქევხიშვილი ესაუბრა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს გურამ მუხაიძეს*

*- ცოტა ხნის წინ თქვენ გააკეთეთ განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მომხდარ ტერაქტში არავითარი ბრალი არ მიუძღვით ჯაბა იოსელიანს და იგორ გიორგაძეს. რამ განაპირობა ასეთი განცხადების გაკეთება?*

- ედუარდ შევარდნაძეზე მომხდარი თავდასხმის მეორე დღესვე მოვიწვიეთ პარტიის პოლიტიკური საბჭო. იმის გამო, რომ გარკვეული ეჭვები გაგვიჩნდა ტერაქტთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ შეგვექმნა ჩვენი საგამოძიებო ჯგუფი. ამ ჯგუფში გაწევრიანდნენ ჩვენი პარტიის წევრები და სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი წარმომადგენელი. ჯგუფის მიერ ჩემთვის წარმოდგენილი მასალების მიხედვით, იგორ გიორგაძესა და ჯაბა იოსელიანს მომხდარ ტერაქტში არავითარი ბრალი არ მიუძღვით. ჩვენი მოსაზრებით, ტერაქტის ავტორები ის მაფიოზურ-პოლიტიკური ძალები არიან, რომლებიც შეავიწროვა იოსელიან-გიორგაძის ალიანსმა და რომლებსაც სურდათ თავისი გავლენის სფეროების დაბრუნება.

*- ვერ დაასახელებთ ამ დაჯგუფებების წარმომადგენლებს?*

- ამ ტერაქტის მომწყობს პრეზიდენტის ნდობის მოპოვება სურდა. ახლა ეს ხალხი ხელისუფლების სათავეებშია და დაიბრუნეს თავისი გავლენის სფეროები, რაც მათ დიდ შემოსავალს აძლევს. მე მომხდარ თავდასხმას საქართველოს თავისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევის მიზნით უცხო ქვეყნების ბრძოლის პრიზმაში განვიხილავ. არსებობს დიდი დაპირისპირება - თურქეთი და ამერიკა ცდილობენ საქართველოზე რუსეთის გავლენის მოხსნას, მაგრამ ამაზე ღიად ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.



*- ბოლოს და ბოლოს, რა მიზანი ჰქონდათ ტერაქტის მომწყობთ?*

- ამ თავდასხმის მიზანს არ წარმოადგენდა პრეზიდენტის ფიზიკური განადგურება. ამ ხალხმა გაათამაშა ტერაქტი, რათა თავიდან მოეცილებინა კონკურენტები და მათი ადგილი დაეკავებინა. იგორ გიორგაძე და ჯაბა იოსელიანი რომ ყოფილიყვნენ ტერაქტის მომწყობნი, იგი სხვა შედეგით დასრულდებოდა. გიორგაძე პროფესიონალია და იგი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. ტერაქტის ჩავარდნის შემთხვევაში პროფესიონალები დამატებით მექანიზმებს გეგმავენ საქმის ბოლომდე მისაყვანად.

*- თქვენ რომელ წინააღმდეგობას გულისხმობთ - ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებით ხომ არა?*

- ვიდრე საქართველო არ დაარეგულირებს რუსეთთან ურთიერთობებს, ქვეყანაში არავითარი ნავთობსადენი არ იქნება. ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული.

*- ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ აზერბაიჯანმა უნდა დაუბრუნოს საქართველოს საინგილო, რომელიც ერთ დროს საქართველოს ეკუთვნოდა. თქვენ არ თვლით, რომ თუ საქართველო დაიწყებს ამ ტერიტორიის დაბრუნების მოთხოვნას, საკმაოდ დაიძაბება მისი ურთიერთობები აზერბაიჯანთან?*

- ჩემი აზრით, დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა უმტკივნეულოდ შეიძლება, რამდენადაც დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კარგი დამოკიდებულებაა. საინგილო დასაბამიდან საქართველოს ტერიტორია იყო. 1918 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ საინგილოს შემოერთებას აზერბაიჯანის მხრიდან არავითარი პროტესტი არ მოჰყოლია. 1921 წელს სერგო ორჯონიკიძემ ეს მიწა უბრალოდ აჩუქა აზერბაიჯანს, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. დღეს თუ ჩვენ მეგობრები ვართ, პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის ინტერესებს. საქართველოსა და აზერბაიჯანს დღეს ერთი გეგმა აქვთ ნავთობსადენთან დაკავშირებით, რაც თურქეთისა და ამერიკის ინტერესებსაც აკმაყოფილებს. სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება საინგილოს საკითხის დასმა ჰეიდარ ალიევის წინაშე.

*- რატომ ეწინააღმდეგებით თურქეთ-საქართველოს რკინიგზის მშენებლობას?*

- ეს ნეგატიურ გავლენას მოახდენს საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე. რკინიგზა ხელს შეუწყობს მათ გადმოსახლებას საქართველოში. თანდათანობით დაიწყება ექსპანსია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ფოთისა და ბათუმის პორტები დაკარგავენ თავის მნიშვნელობას. ნავთობი ამ რკინიგზის მეშვეობით პირდაპირ თურქეთის პორტებში გადაიზიდება. ამაში ჩვენი ხელისუფლების სათავეში მყოფი მექრთამეები არიან დაინტერესებულნი. ისინი შორს არიან ეროვნული ინტერესებისაგან. ჩვენმა პრეზიდენტმა თავიდან უნდა მოიცილოს ისინი. პრეზიდენტს ჩვენი ხაზის გატარებას ვთავაზობთ ამ სფეროში. ამ შემთხვევაში შევძლებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. თუ პრეზიდენტმა გააგრძელა ძველი, პროთურქული პოლიტიკის გატარება, საქართველო ახალ ტერიტორიებსაც დაკარგავს. ყოველ ქართველს კარგად ახსოვს, რომ ერთ დროს რუსეთმა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა, სწორედ რუსეთის შემწეობით ვითარდებოდა საქართველოში სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, კულტურა და მეცნიერება. ხოლო დღეს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები იქითკენაა მიმართული, რომ მოახრჩოს სამამულო მრეწველობა და საქართველო იაფფასიანი პროდუქციის ბაზრად გადააქციოს. ყოველივე ამის შემდეგ საქართველომ შეიძლება საერთოდ დაკარგოს დამოუკიდებლობა.

**ბი ჯი აი**

# ვლადიმერ კერესელიძე ვეღარ გახდება მრეწველობის მინისტრი

ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო მყარად დგას დასავლური ტიპის ეკონომიკის მშენებლობის გზაზე. ეს კი ნიშნავს ეკონომიკური რეფორმების გატარებას საერთაშორისო, უფრო ზუსტად, დასავლეთის ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით, რასაც აუცილებლად ახლავს თან იმ თანამდებობის პირების თავიდან მოცილება, რომლებიც დღემდე ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე წარმატებითა და შეუმჩნევლად გადადიოდნენ ერთი თბილი ადგილიდან მეორეზე.

მთავრობაში მრავალთაგან ერთ-ერთ „ჩაუძირავად" აღიარებული იყო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მრეწველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვლადიმერ კერესელიძე.

1995 წლის არჩევნებისას უფლებამოსილებების მოხსნამდე, ყოფილ მთავრობაში კერესელიძეს მრეწველობის მინისტრის თანამდებობა ეკავა და განთქმული იყო, როგორც სახელმწიფოს მიერ მართვადი სოციალისტური გეგმიური ეკონომიკის მომხრე. მთავრობის სტრუქტურაში მომხდარი რეორგანიზაციის შემდეგ მრეწველობის სამინისტრო დეპარტამენტად გადაკეთდა, თუმცა ვლადიმერ კერესელიძემ, მართალია, სტატუსის ოდნავი შემცირებით, მაგრამ მაინც შეინარჩუნა პირველი ადგილი ქვეყნის მრეწველობის ხელმძღვანელობაში და საკმაო წარმატებითაც ეკავა იგი. სახელმწიფო კანცელარიის კულუარებში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ეკონომიკის მინისტრის ვლადიმერ პაპავას, როგორც ხელმძღვანელის სისუსტე რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა კერესელიძის მოცილება, რათა მას ვეღარ გაემყარებინა პოზიციები სამინისტროში. მაგრამ, ვლადიმერ პაპავამ ეს ვერ შეძლო.

ვლადიმერ კერესელიძე ერთპიროვნულ მმართველად იქცა დეპარტამენტში, რომელიც არაფრად აგდებდა რანგით ზემდგომ მინისტრს და, ამასთან, წარმატებით ამღვრევდა წყალს „წითელ დირექტორებს" შორის, რომლებიც არცთუ ისე შორს წასულან თავისი შეხედულებებით ყოფილი სახელმწიფო მოხელისაგან, ვლადიმერ კერესელიძისაგან, სახელმწიფო დოტაციების მოთხოვნებიდან და სხვის ხარჯზე მათი საწარმოების გამუდმებული „ამოქაჩვისაგან".

ვლადიმერ კერესელიძე და ქართველი უხეირო ბიზნესმენები ორგანიზებულ ძალად იქცნენ. ეს ის ძალაა, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, დასავლური ინვესტიციებისა და ეკონომიკური რეფორმების წინააღმდეგია. პრეზიდენტს ჯერ კიდევ შეეძლო კერესელიძის ატანა, ვიდრე საქართველოში მრეწველობა ამოქმედდებოდა. დღეს, როცა ქვეყანაში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მრეწველობის გამოცოცხლება, კერესელიძე აშკარად ზედმეტი აღმოჩნდა.

რადგანაც ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა მრეწველობის სამინისტროს აღდგენა, მისივე თქმით, „ამ უწყებას ახალი ხელმძღვანელი ესაჭიროება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით იაზროვნებს".

ჯერჯერობით უცნობია - ვინ დაიკავებს საქართველოს მრეწველობის მინისტრის თანამდებობას. როგორც ამბობენ, ამ თანამდებობაზე დანიშვნის დიდი შანსი აქვს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს კახი არველაძეს. სამაგიეროდ, ვიცით, რომ ვლადიმერ კერესელიძე გამოეთხოვა როგორც მინისტრად დანიშვნის იმედს, ასევე მრეწველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობასაც.

**ინგა ღაღიანი**

## უდაბნოსთან ბრძოლის დაწყებას აპირებენ

წინანდალში გამართულ სემინარზე საქართველოს უდაბნოების ათვისების საკითხი განიხილეს. სემინარს ორგანიზება გაუწია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მწვანეებმა. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თავმჯდომარემ ნანა ნემსაძემ BGI-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ კახეთისა და ქართლის ტერიტორიების დიდი ნაწილი უდაბნოა და ნიადაგის არასწორი გამოყენების გამო უდაბნოების რაოდენობა იზრდება. მისი თქმით, არსებობს საერთაშორისო კონვენცია „გაუდაბნოების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ", რომელსაც საქართველომ მოაწერა ხელი, მაგრამ არ მოახდინა მისი რატიფიცირება. სემინარზე აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტს უნდა მოეთხოვოს ამ კონვენციის დაუყოვნებლივ რატიფიცირება. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უნდა დაიწყოს ეროვნული პროგრამის შემუშავების კოორდინაცია, რაშიც უნდა მოიზიდოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსწავლელთა თარეში სახელმწიფოს საჭესთან

## ფედერალიზაციის გეგმა ანტიმეცნიერულია, ფედერალიზაციის გეგმა ანტიქართულია

ნოდარ ნათაძე

პირველი გვერდიდან

*საქართველოს ფედერაციის შექმნის მცდელობა, თუკი იგი რეალობაში იქნა გატარებული, გამოიწვევს არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის დაკარგვას რამდენიმე წლის მანძილზე, არამედ ქართველი ერის მთლიანობის დაკარგვასაც სულ ორი-სამი თაობის მანძილზე.*

თუმცა, ჩვენი მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანაში და მის უშუალო გარემოცვაში დღეს არსებულ ვითარებას უნდა დაეყრდნოს (გეოპოლიტიკურს, ეკონომიკურსა და სტრატეგიულს), მაინც ბუნებრივია, რომ რიგ შემთხვევაში, ანალოგიურ პრობლემებზე მსჯელობისას, სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან ცნობილ ანალოგიებსაც დავიმოწმებთ. კერძოდ, შევეხებით *გერმანიის ანალოგიას*, რომელსაც ფედერალიზაციის მომხრენი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად იმოწმებენ.

*I. გერმანიის მაგალითი (ზოგადად)*

საქართველოს ფედერალიზაციის მომხრეთა ხელში ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი იყო და არის ის, რომ ზეგანვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო - გერმანია - ფედერაციას წარმოადგენს. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ფედერაცია კარგია. ეს დასკვნა ყალბია თავისი წანამძღვრის სიყალბის გამო. *გერმანია იმიტომ კი არ არის ფედერაციული, რომ ფედერაცია კარგია, არამედ, პირიქით, დამარცხებულ გერმანიას მოკავშირეებმა ფედერალური მოწყობა უკარნახეს იმიტომ, რომ ფედერაცია ქვეყნის ძლიერებისათვის ცუდია*, სახელდობრ, უკარნახეს იმ მიზნით, რომ შეუძლებელი გამხდარიყო გერმანიის „ჯავშნიანი მუშტის" ანუ გერმანული სამხედრო ძალის აღორძინება დღეს, ხვალ ან განჭვრეტად მომავალში. გერმანულ ლიტერატურაში ამ თემაზე ნათლად ჩანს, რომ ომისშემდგომი გერმანიის ფედერალურად მოწყობისთვის გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ეს იყო. დავიმოწმებთ რამდენსამე შრომას.

1. ჰანი და ჰოლშერი. „გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალიზაცია" (Karl Hahn und Manfred Holscher. Föderalisierung der Bundesrepublik Deutschland. კრებულში Föderalismus als Mittel permanenter Konfliktregelung, გამომცემლნი Esterbauer, Heraud, Pernthaler. Wien, 1977)

„მოკავშირეთა დავალება საპარლამენტო საბჭოსადმი (გერმანიის „მიწათა" ანუ „ქვეყანათა" ადგილობრივი პარლამენტების წარმოგზავნილთაგან შემდგარი საბჭო, რომელიც გერმანიის კონსტიტუციის პროექტს ადგენდა 1947-49 წლებში), დემოკრატიული კონსტიტუცია ფედერალურ საფუძველზე აეგო, მიზნად ისახავდა, ხელი შეეშალა გერმანული მძლავრი სახელმწიფოს (Machtstaat) აღდგენისათვის..." (გვ. 116).

2. კარლო შმიდი. „ფედერაცია (ბუნდი) და ქვეყნები (მიწები, Lander)". Carlo Schmid, Bund und Lander). კრებულში „Die zweite Republik, გამომცემლნი Lowenthal, Schwarz შტუტგარტი, 1974 წ.

„გფრ-ის ფედერალური სტრუქტურა დაკავშირებულია მოკავშირეთა მიერ ომში დასახულ მიზნებთან... რაც უნდა სხვადასხვა ყოფილიყო მათი შეხედულებები, ერთში ისინი ყველანი თანხმდებოდნენ: მომავალ გერმანიას მისი სამრეწველო, პოლიტიკური, სამხედრო პოტენციალით არასოდეს აღარ უნდა შესძლებოდა საომარი აქტივობის დაწყება... საამისოდ შესაფერ საშუალებად ზოგს ესახებოდა გერმანიის დაშლა რამდენიმე ურთიერთდამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სანამ სტალინის სიტყვებმა, ჰიტლერები მიდიან და მოდიან, გერმანელი ხალხი კი რჩებაო",[1] ამას ბოლო არ მოუღო (გვ. 244).

3. (იგივე შრომა). „არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დავალება თუ მოთხოვნა მხოლოდ სახელმწიფო-ფილოსოფიური ხასიათისა არ იყო. იგი წამოაყენეს, როგორც გამარჯვებულთა უშიშროების პოლიტიკის ნაწილი, რადგან ეწადათ ხელი შეეშალათ გერმანიის, როგორც მძლავრი სახელმწიფოს (Machtstaat) აღდგენისათვის. ცენტრალურად შეკრული სახელმწიფო... მათ ევროპის მშვიდობისთვის სახიფათოდ ესახებოდათ. მთლიან გერმანულ სახელმწიფოს, მათის აზრით, ვერ უნდა შესძლებოდა გადაწყვეტილებების მეტისმეტად ადვილად მიღება და გატარება. მიწების (ქვეყნების, „ლანდების") ნებაზე დამოკიდებულობას... უნდა გაეძნელებინა მისთვის მეტისმეტად ცოცხალი რეაგირება და მეტისმეტად სწრაფი ზრდა" (გვ. 246).

4. რეალური მდგომარეობა, რომელიც გერმანიაში დამკვიდრდა, ანუ ფედერაციულობის ის ხარისხი, რომელზედაც გერმანიის კონსტიტუცია საბოლოოდ (1949) შეჩერდა, იყო ერთი მხრივ მოკავშირეთა, მეორე მხრივ კი გერმანელთა ნების ერთგვარი ტოლქმედი, მათ შორის კომპრომისის შედეგი. იოხენ ჰუნი (Jochen Huhn, Die westdeutsche Föderalismus diskussion 1945-1949) კრებულში Foderalismus in Deutschland, გამომცემელნი Huhn და Witt, ბადენ-ბადენი, 1992) წერს, რომ უნიტარული გერმანიის მომხრე გერმანელთა ერთობლივი მოთხოვნა, რომ „პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი უნდა მოდიოდეს გერმანულ სახელმწიფოზე მთლიანად, ხოლო ქვეყნები („მიწები") უნდა იყონ მეორადი ხასიათის წევრი-სახელმწიფოები", რაც შექმნიდა „ჯანსაღსა და გონივრულ საკავშირო ფედერალიზმს", იყო ერთის მხრივ გერმანელთა მიერ აღიარებული ღირებულებების (ერთიანი ეროვნული სახელმწიფო), მეორე მხრივ კი ობიექტური გარემოებებისადმი (მოკავშირეთა ნებისადმი) დათმობის კომპრომისი (გვ. 43).

5. პეტერ ბოლიც, (Peter Bohl, Chancen und gefardungen des Foderalismus „ფედერალიზმის შანსები და ხიფათები" კრებულში, "Foderalismus", გამომცემელი Bohr მიუნხენი, 1992) წერს, რომ „ფედერალიზმი და ფინანსური წყობა 1949 წლისა წარმოიშვა, როგორც კომპრომისი დასავლელი მოკავშირეების სურვილებსა და საპარლამენტო საბჭოს უმრავლესობის წარმოდგენლებს შორის" (გვ. 33).

6. ფრიც შარპი (Fritz Scharp, Wege der Entwicklung des bundesstaatlichen Foderalismus in Deutschland „გერმანული სამოკავშირეო-სახელმწიფო ფედერალიზმის განვითარების გზები") გერმანული ფედერალიზმის შექმნის ფაქტორთა შორის აგრეთვე ასახელებს მოკავშირეთა ნებას. იგი აღნიშნავს ამ ნებისადმი გერმანელების წინააღმდეგობის ფაქტსა და მექანიზმს: თუმცა, მოკავშირეთა მიერ ლიცენზირებული „ლანდები" („მიწები", ქვეყნები) არსებობდნენ და თუმცა, მათი ჩართულობა ერთიან სახელმწიფოში, რომლის ერთიანობა მარტოოდენ სამართლის ერთობაშიღა მდგომარეობდა, სიმბოლურიღა იყო, ისინი მაინც „ვერ არღვევდნენ ეროვნული ერთიანობის მიერ ტაბუს", ეს მათ „სეპარატიზმის ბრალდებას მოუტანდა".

7. გერმანელთა პოზიციამ მათი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში, რომელმაც 1949 წლის შემდეგაც განაგრძო გავლენის მოხდენა გერმანიის სახელმწიფო წყობის ევოლუციაზე, ზემოთ ციტირებული შმიდის სიტყვით (გვ. 259), ის ნაყოფი გამოიღო, რომ „ნეგატიური შედეგები, რომლის იმედიც, შესაძლოა, ჰქონდათ მოკავშირეებს, გერმანულმა ფედერალიზმმა არ მოიტანა".

ამგვარად, გერმანიის ფედერალური მოწყობა გამარჯვებულ მოკავშირეთა ნების გამოხატულებაა. ანალოგიურადვე (როგორც ეს ცნობილია საზოგადოებისათვის), *საქართველოს ფედერალური მოწყობის გეგმა საქართველოში შეთხზული არაა: იგი რუსეთის მხარის ერთ-ერთი რეკომენდაციაა ჩვენს მიმართ*[1] *და მისი მიზანიც, გერმანიის ფედერაციული მოწყობის წარმმართველი ერთ-ერთი მიზნივით, ჩვენი ქვეყნის დასუსტებაა*, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს დასუსტება მისი შესაძლო აგრესიის აღკვეთისთვის კი არაა საჭირო, არამედ მისი თავდაცვისუნარიანობის დათრგუნვისათვის იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი დღეს თავისი ტერიტორიისა და თავისი დამოუკიდებლობის გადარჩენისათვის ეწევა.

*II. გერმანიის მაგალითი (რამდენიმე დეტალი და ანალოგია)*

გამარჯვებულ მოკავშირეთა მისწრაფება გერმანიის ფედერალიზაციისკენ, რომელიც მით უფრო მცირდებოდა, რაც უფრო საჭირო ხდებოდა მათთვის გერმანია დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების გამწვავებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი ფაქტორი იყო გერმანიის მოწყობის პროცესში. თვით გერმანულ საზოგადოებაში არსებობდა სხვადასხვა აზრი, სხვადასხვა განწყობილებები, ოპტიმიზმისა და პესიმიზმის სხვადასხვა ზომა და გართულებების წინაშე შიშის სხვადასხვა ხარისხი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ჯერ გერმანული უნიტარიზმის (სახელმწიფოს ერთგვაროვნების) თუ ფედერალიზმის მომხრეთა *არგუმენტები*, შემდეგ *მოტივები*, რომლებიც საფუძვლად ედო ამ არგუმენტებს, და ბოლოს, საზოგადოების ან მისი ამა თუ იმ ნაწილის მიერ აღიარებულ *ღირებულებათა ის სისტემები*, რომელთა ფონზე და წიაღშიც გაჩენილია ეს მოტივები. ამის გათვალისწინება გვმართებს, *ჯერ ერთი*, იმიტომ, რომ გერმანიის ვითარებას ჩვენსასთან მრავალი ანალოგია აქვს (მაგალითად, გერმანია საქართველოსავით ისტორიულად მრავალი სამეფო-სამთავროსაგან შემდგარი ქვეყანაა), *მეორეც*, იმიტომ, რომ გერმანიაში ზემოხსენებული სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესში ჩატარებულია მრავალი ისეთი ანალიზი და გააზრებულია პროცესის და მომავლის მრავალი ისეთი მხარე, რომელსაც საქართველოში ანალიტიკური აზრი ჯერ ოდნავადაც არ შეხებია, მათ შორის, რა თქმა უნდა, არც კონსტიტუციაზე მომუშავე ჯგუფის აზრი.

გერმანული ფედერალიზმისა და უნიტარიზმის მომხრეთა არგუმენტები შეგვიძლია ურთიერთსაწინააღმდეგოდ ასე დავალაგოთ:

ფედერალიზმის არგუმენტები:

ა) დასავლელი მოკავშირეები არ დაეთანხმებიან გერმანიის უნიტარულ მოწყობას (ეს კონიუნქტურული საბუთი უკვე ვახსენეთ ზემოთ);

ბ) გერმანიის უნიტარისტულმა განვითარებამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ბისმარკმა 1866-71 წლებში და დააგვირგვინა ჰიტლერმა გერმანიის სრული უნიტარიზაციით, 1945 წლის კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა;

გ) ფედერალური წყობა უნიტარულს სჯობია დემოკრატიულობის მხრივ. მასში უფრო მაღალია საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის მონაწილეობის ხარისხი.

ფედერალისტთა ამ საბუთის წინააღმდეგ, ჯერ ერთი, ის მარტივი მოსაზრება არსებობს, რომ „მიწებიც" (ქვეყნები, „ლანდები") გერმანიაში მრავალმილიონიანია და რიგითი მოქალაქის როლი ამით პრინციპულ ზრდას არ განიცდის. უფრო საყურადღებოა ჩვენთვის სხვა არგუმენტი ფედერალისტთა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ. ფედერალისტების მადეცენტრალიზებელი ტენდენცია თურმე „მიწების" დონეზე ჩერდება. ამ ერთეულების შიგნით ისინი უმრავლეს შემთხვევაში მკაცრი ცენტრალიზმის მომხრენი არიან. (ჰანი და ჰოლშერი, ციტ. შრომა გვ. 117-118)

დ) ფედერალიზმი ანუ „ქვეყნების" (მიწების) მაქსიმალური თავისთავადობა ამავე დროს „პასუხისმგებლობის" სკოლაა და, ამგვარადაც, ხალხის „დემოკრატიული აზროვნების" საშუალებაა;

ე) ფედერალური მოწყობა უკეთაა მორგებული კონფესიური ჯგუფების დაცვის ინტერესებს;

ვ) ფედერალიზმი საერთაშორისო ასპარეზზე ხელს უწყობს მშვიდობას, უნიტარიზმი (ზოგადეროვნული სახელმწიფოს სიძლიერე) - კონფლიქტებს.

*უნიტარული ტენდენციის სასარგებლოდ მიმართული არგუმენტები:*

ა) სამართლისა და მეურნეობის ერთიანობისთვის (ერთი და იგივე კოდექსები, ერთიანი მეურნეობა) უნიტარული სახელმწიფო უფრო მორგებულია;

ბ) უნიტარული სახელმწიფო უფრო მორგებულია გერმანიის გარეთ მყოფ გერმანელებზე ზრუნვისათვის;

გ) მიწები („ლანდები", „ქვეყნები"), როგორც პოლიტიკური სიდიდეები, ისტორიულად უკვე გადალახული საფეხურია ერის ორგანიზაციისა. სამართლის და მეურნეობის სფეროში ერის ერთიანობის მოთხოვნილება, რაც გარდუვალია, კონსტიტუციის სუბიექტად უნდა ხედავდეს ხალხს მის მთლიანობაში;

დ) მეცნიერება-ტექნიკის და მედიცინის განვითარება, კრიმინალური ხიფათის ზრდა, გერმანიის ჩაბმა მსოფლიო ვალდებულებებში თავდაცვითის ჩათვლით, პრაქტიკულად ზრდის ბუნდის ამოცანებს (შმიდი, ციტ. შრ. გვ. 254). გარდა ამისა, საჭიროა „ცხოვრების პირობათა ერთგვარობის" მიღწევა მთელს გერმანიაში, რაც მხოლოდ ბუნდის (ცენტრის) ძლიერების შემთხვევაში შეიძლება;

ე) უმთავრესი არგუმენტი - რომ სახელმწიფოს უნიტარობა მისი ერთობლივი ძლიერების და როგორც პარტიკულარიზმისაგან, ისე სეპარატიზმისაგან მისი დაცვის საშუალებაა - იგულისხმება, მაგრამ მის მკაფიო ექსპლიციტურ ფორმაში გამოთქმას ერიდებიან ზემოხსენებულ გარემოებათა გამო. ამ ფაქტორის მონაწილეობას უნიტარიზმის მომხრეთა პოზიციის განსაზღვრაში, როგორც ფაქტს, მაინც აღნიშნავენ.

ფედერალიზმისა და უნიტარიზმის მოტივები გერმანიაში თავისი ფესვებით, ერთის მხრივ, ისტორიაში მიდის, მეორეს მხრივ, აწმყო მძიმე ვითარებითაა განსაზღვრული. შმიდის დახასიათებით (ციტ. შრ. გვ. 248) ფედერალიზმის მომხრეთა განწყობილებას, ნაწილობრივ მაინც, ის კვებავდა, რომ მათ გერმანია სხვაგვარად, თუ არა ფედერალურად, არც კი ჰქონდათ წარმოდგენილი (და იგი მართლაც ყოველთვის ფედერალური იყო თავისი ისტორიის მანძილზე გარდა 1933-45 წლებისა). მეორეს მხრივ, ისტორიზმი კვებავს უნიტარისტების განწყობილებასაც. მაგალითად, ზემოთ ციტირებული ჰუნი (გვ. 47) აღნიშნავს, რომ უნიტარიზმის ერთ-ერთ აქტიურ დამცველს „ფინანსურ-ტექნიკური დეტალური საბუთიანების გვერდზე უნიტარისტულად გამიზნული საგადასახადო სისტემის დასაცავად ყოველთვის თანანაგულისხმევი და მომზადებული ჰქონდა ინტენსიური ისტორიული დასაბუთება, რადგან მისი ხედვა ისტორიისა უნიტარისტული იყო". განსხვავება ამ ორ მიდგომას შორის ისაა, რომ პირველნი ამოდიოდნენ ისტორიის *ფაქტოლოგიიდან*, ანუ იქიდან, რაც იგი რეალურად იყო, ფედერალურად მოწყობილი გერმანიის სახით, მეორენი კი *ტელეოლოგიიდან*, ანუ იმ *მიზანთსახვიდან*, რომელზედაც გერმანული ისტორია იყო აგებული (სახელდობრ, გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ისტორიული მიზნიდან). ეს ვითარება თვალში საცემად ანალოგიურია საქართველოს მდგომარეობისა თავის ისტორიასთან მიმართებაში და ჩვენს ყურადღებას წარმართავს იმ აქსიოლოგიური სისტემებისადმი ანუ ქვეყანაში აღიარებულ ერთიან ან განსხვავებულ *ღირებულებათა სისტემებისადმი*, რომლებიც ზემოხსენებულ მოტივაციებს საფუძვლად უდევს. აქ გერმანულსა და ქართულ ვითარებას შორის, სიახლოვესთან ერთად, არსებითი განსხვავებაცაა. მაგრამ სანამ ამ უკანასკნელს შევეხებოდეთ, რამდენიმე ნაწყვეტის ციტირება გვინდა იმ მადემორალიზებელი ვითარების შესახებ, რომელიც იწვევს ზოგად პესიმიზმსა და აპათიას, სახელმწიფოს მოწყობის თემისადმი დამოკიდებულების ჩათვლით, და ამ მხრივაც ჩვენი ქვეყნის ვითარების ანალოგს წარმოადგენს.

**გაგრძელება იქნება**

1. სტალინის სიტყვები იყო „გერმანელი ხალხი, გერმანული სახელმწიფო კი რჩება" (ავტორის შენ.)

1 საქართველოს ტელემაყურებელს არაერთხელ უნახავს და მოუსმენია რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა მიერ საქართველოს ფედერალური მოწყობის ხსენება

---

ამ დღეებში

### გადაწყდება „სარასან ოილი"-ს ბედი

სამი წლის წინათ დეპარტამენტ „საქნერგომ" გააფორმა ხელშეკრულება ავსტრალიურ ფირმა „სარასან ოილისთან" ჭაბურღილების ბურღვისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე. ავსტრალიური მხარე ჯერ არცკი შესდგომია სამუშაოებს. როგორც BGI-ის კორესპონდენტთან საუბრისას დეპარტამენტ „საქნერგოს" თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ლობჟანიძემ განაცხადა, დადგა საკითხი კონტრაქტის გაუქმების შესახებ, რომელიც აპრილის ბოლოსთვის გადაწყდება. რაც შეეხება საინფორმაციო პროგრამა „ალიონის" ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გაუქმდება კონტრაქტი შვეიცარიულ კომპანია „ნეიშნლ პეტროლიუმ ლიმიტედთან", ვანო ლობჟანიძის თქმით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

### რეგისტრირებულია მიწისძვრა ბიძგები

24 აპრილს, დილის 6 საათსა და 39 წუთზე სომეხი სეისმოლოგების მიერ რეგისტრირებულია 3-4 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი მდებარეობდა სომხეთ-საქართველოს საზღვარზე, 15 კმ ჩრდილოეთით ქალაქ გუკასიანიდან. 12.56 სთ-ზე, ადგილობრივი დროით, 5-ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ეპიცენტრი ჯავიდან 15 კმ აღმოსავლეთით მდებარეობდა. (ბი ჯი აი)

### აღინიშნა სომხების გენოციდის 82 წლისთავი

25 აპრილს გენოციდის მსხვერპლთათვის პატივის მისაგებად, ციცერნაკაბერდში აღმართულ მემორიალთან მივიდნენ სომხეთის პრეზიდენტი, რესპუბლიკის ხელისუფლებისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, სრულიად სომეხთა კათალიკოსი გარეგინ პირველი. 25 აპრილს ტრაგიკული თარიღი აღნიშნა სომხურმა დიასპორამ მოსკოვში. სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ მოსკოველმა სომხებმა თურქეთის საელჩოს წინ პიკეტი მოაწყვეს და მოითხოვდნენ, რომ თურქეთის მთავრობამ გადახედოს საკუთარ პოზიციას 1915 წელს სომხების მიმართ ჩადენილ გენოციდთან დაკავშირებით. (ბი ჯი აი)

### მაინც, ვის უფრო ძლიერი ჯარი ჰყავს — სომხეთს, თუ აზერბაიჯანს?

ინგლისური ჟურნალის „ჯეინს დიფენს უიკლის" თანამშრომელს პოლ ბივერს მიაჩნია, რომ ომისთვის ორივე დაპირისპირებული მხარე არის მზად. მისი მონაცემებით, უკრაინამ აზერბაიჯანს პირდაპირ ხარკოვის ქარხნიდან მიაწოდა T-72 ტიპის 30-ზე მეტი ახალი ტანკი, თუმცა უკრაინის პრეზიდენტი ამას უარყოფს. რაც შეეხება სომხეთს, 1994 წლიდან მოყოლებული სომხეთში შეიტანეს 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების შეიარაღება, კერძოდ - სარაკეტო სისტემა „Скат", რომლის მოქმედების რადიუსი 500 კილომეტრს აღემატება პოლ ბივერის თქმით, სომხეთის ჯარის ხელმძღვანელობა, რომელმაც მომზადება რუსეთის სამხედრო სკოლაში გაიარა, თურქეთში მომზადებულ აზერბაიჯანელ სამხედრო მეთაურებზე ძლიერია. (ბი ჯი აი)

## საქართველოში ბენზინის მარაგი ოთხთვიან ნორმას შეადგენს

მიმდინარე წელს საქართველოში 44,8 ათასი საავტომობილო ბენზინი და 61,4 ათასი ტონა დიზელის საწვავი შემოიზიდა – განუცხადეს BGI-ის კორესპონდენტს კორპორაცია „საქნავთობპროდუქტში“.

დღეისათვის საქართველოს რეგიონებში ბენზინის მარაგი 4,5 ათას ტონას შეადგენს, თბილისში – 19,4 ათას ტონას, რაც ამ სახის საწვავის 26 და 129 დღის მარაგს შეადგენს.

## ისინი მიმართავენ უკიდურეს საპროტესტო ზომებს

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებულ ალგეთის სამხედრო პოლიგონის მიზანშეწონილობის გასარკვევად შეიქმნა და შემდგომ გადაინაცვლა ეროვნული უშიშროების საბჭოში, რამაზ საყვარელიძის თავმჯდომარეობით განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება – 1997 წლის 1 მაისს პოლიგონზე საექსპერიმენტო წვრთნების ჩატარების შესახებ. ექსპერიმენტის ჩატარება დაევალათ საამშენებლო მექანიკისა და სეისმო-მედეგობის, გეოფიზიკის ინსტიტუტებს, სამხედროებთან ერთად.

დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, აღნიშნულმა კომისიამ, რომელიც გარემოს დაცვითი და გეოფიზიკის უარყოფითი დასკვნების საფუძველზე პარლამენტის სხდომაზე განსახილველად სპეციალურ დოკუმენტს ამზადებდა, ზეწოლა განიცადა და ადრე თუ ყოველგვარი ექსპერიმენტის წინააღმდეგი იყო, ამჯერად თანახმაა ექსპერიმენტის ჩატარებაზე. იმავე ექსპერტთა აზრით, გარეჯის კომპლექსზე მოქმედებს დაგროვების ეფექტი და არა ერთჯერადი ექსპერიმენტი, ხოლო ბიომრავალფეროვნებაზე ექსპერიმენტის გარეშეც, მრავალჯერადი დაკვირვების საფუძველზე, არსებობს უარყოფითი დასკვნები.

ამასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სფეროში მოქმედმა 30-მდე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ისინი შეუძლებლად მიიჩნევენ აღნიშნული ექსპერიმენტის ჩატარებას და ერთჯერადი ექსპერიმენტის შედეგად სამხედრო პოლიგონის გავლენის შეფასებას გარეჯის უნიკალურ ლანდშაფტსა და ბიომრავალფეროვნებაზე. ასევე არასანდოდ მიიჩნევენ სამონასტრო კომპლექსზე ზემოქმედების შეფასების მცდელობასაც. ყოველივე ამის გამო, ისინი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან ექსპერიმენტის ჩატარებისა, თუნდაც შეზღუდულ მასშტაბებში და მოითხოვენ, პარლამენტის წინაშე განსახილველად დადგეს ერთადერთი საკითხი – პოლიგონის გაუქმების შესახებ. ამასთან აცხადებენ, რომ თუ არ შეიცვლება გადაწყვეტილება ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ, ისინი მიმართავენ უკიდურეს საპროტესტო ზომებს.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის დირექტორმა რ.გოხელაშვილმა განაცხადა, გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები 1 მაისს ჩავლენ ალგეთის პოლიგონზე და პროტესტის ნიშნად, წვრთნის დაწყებამდე გაშლიან კარვებს. (იფრინდა)

● პოლემიკა

# ორი პროფესორი სამსჯავროს წინაშე

ვახტანგ ერქომაიშვილი

დახასიათებულია ხატოვნად და არ არის მოცემული მისი მეცნიერული ცნება. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ოპონენტი ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას. მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ახლა თავიდან რომ ავიცილო ოპონენტის აკვიატებული საყვედური ჩემს მიმართ – ნუთუ ფილოსოფოსს, თანაც პროფესორს იმის ახსნა უნდა სჭირდებოდეს, რომ იდეოლოგია და მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა, მას ვურჩევ: ჩაიხედოს ნებისმიერ საცნობარო ლიტერატურაში და იქ ნახავს, თუ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. მე შემეძლო სხვა ლიტერატურის მითითებაც, მაგრამ ოპონენტი მას არ ცნობს და არ იცნობს.

### ოპონენტის გაოცებას არა აქვს საზღვარი

ყოველი ჩემი აზრი იწვევს ოპონენტის გაოცებას. სწორედ გაოცებაა ის მთავარი იარაღი, რომლის გამოყენებით იგი მე მაკრიტიკებს. ამჯერად მისი გაოცების ერთ ფაქტზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ოპონენტი მოგვითხრობს, რომ გაზეთ „მთაწმინდის“ რედაქციის წევრებმა, რომელთა შორის ისიც იყო, გამოაქვეყნეს „ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტისადმი“. ამ წერილში მოცემული იყო იდეოლოგიის საჭიროების დასაბუთების მცდელობა. შემდეგ ოპონენტი წერს: „როდესაც ღია წერილს ვაქვეყნებდით, ვერ წარმოგვედგინა, რომ იდეოლოგიის ამგვარ გაგებას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ“. ცოტა ქვემოთ იგი აგრძელებს: „დიახ, არ ველოდით ოპონენტებს ამ საკითხში, მაგრამ ისინი გამოგვიჩნდნენ“.

თავი დავანებოთ რედაქციის სხვა წევრებს და შევეკითხოთ ოპონენტს: რატომ არ ელოდა იგი ოპოზიციას? რა, ისევ დაგვიბრუნდა ტოტალიტარიზმის ეპოქა, რომ დისკუსია დაუშვებელია? პირიქით, მას ის უნდა გაკვირვებოდა, რომ ოპონენტები არ გამოჩენილიყვნენ.

იდეოლოგია გვჭირდება თუ არა, დავას ამ საკითხზე დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი არც ოპონენტს დაუწყია და არც მე. დაპირისპირებული თვალსაზრისები არსებობდა და იარსებებს მომავალშიც. რატომ იფიქრა ოპონენტმა, რომ მისი ერთი ღია წერილით ყველა ეჭვი გაიფანტებოდა და პრობლემაც გადაწყდებოდა? იგი გვარწმუნებს, რომ ახალი იდეოლოგია ძალით კი არა, დარწმუნებით უნდა დამკვიდრდეს. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უკვირს ოპონენტს იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვაგვარად აზროვნებენ? როგორც ჩანს, სხვათა ლანძღვა-გინება დარწმუნების მეთოდის აუცილებელი კომპონენტია.

### გულუბრყვილო ცნობიერების შესახებ

გულუბრყვილო ცნობიერებისთვის სამყარო ისეთია, როგორც იგი მას ეჩვენება. ეს არის აზროვნება აღქმების და წარმოდგენების, მაგრამ არა ცნებების დონეზე. მისთვის უცხოა მეცნიერული ახსნა. მას სარწმუნოდ მიაჩნია მხოლოდ ის, რაც პირად გამოცდილებაში ეძლევა. ყველაფერი დანარჩენი მისთვის გაუგებარია, ამიტომ მის გაოცებას და აღშფოთებას იწვევს.

მირიანაშვილის სტატია გულუბრყვილო ცნობიერების ნიმუშია. იგი აზროვნებს წარმოდგენების და ემოციების, მაგრამ არა ცნებების დონეზე. მისი თვალსაწიერი შემოისაზღვრება მხოლოდ საცნობარო ლიტერატურით (სამწუხაროდ, ვერც მას იყენებს ზუსტად). მისთვის უცნობია მეცნიერული და ფილოსოფიური ლიტერატურა. ამის გამოა, რომ ის, რაც საცნობარო ლიტერატურის ფარგლებს სცილდება, მის გაოცებას და აღშფოთებას იწვევს. რაც მან არ იცის, იგი სხვის უმეცრებად ასაღებს.

გულუბრყვილო ცნობიერება დასაშვებია ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეტყველებაში, მაგრამ დაუშვებელია მეცნიერულ აზროვნებაში. როდესაც მის საფუძველზე ცდილობენ სერიოზული პრობლემების განსჯა-განხილვას, მაშინ გულუბრყვილობა გადადის გულბრიყვობაში.

### რატომ დავწერე პასუხი

მირიანაშვილმა გაზეთ „მთაწმინდის“ ფურცლებზე ერთხელ უკვე ამხილა ჩემი უმეცრება. მე მისთვის პასუხი არ გამიცია ორი მიზეზის გამო:

ჯერ ერთი, შევიმუშავე ცხოვრების წესი, რომელიც ემყარება პუშკინის სიტყვებს:

„Хвалу и клевету приемли равнодушно
и не оспоривай глупца“.

მეორე, როგორც ჩანს, ჩემი უმეცრების მხილება ქართული ეროვნული იდეოლოგიის შექმნის აუცილებელი პირობაა. ვიფიქრე: ჯანდაბას ჩემი თავი, მე შევეწირები, ოღონდ დიდი ეროვნული საქმე გაკეთდეს.

გამოხდა ხანი, გავიდა წელზე მეტი. მირიანაშვილს ერთი ნაბიჯიც წინ არ გადაუდგამს სახელმწიფო იდეოლოგიის შესაქმნელად. იგი დარჩა ისევ მოწოდების დონეზე, რომ იდეოლოგია გვჭირდება. მის სტატიაში მეორდება ძველი დებულებები ამერიკული ოცნების, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის შესახებ, ქართველი ხალხის უნიკალური თვისების შესახებ და ა.შ. სამაგიეროდ, მან გააჩაღა ენერგიული მოღვაწეობა სხვათა უმეცრების მხილების მიმართულებით. ისევ თავისი ნაცადი მეთოდით და ძველი არგუმენტებით გაიმეორა ჩემი კრიტიკაც.

ახლა კი გაჩუმება-აღარ შეიძლება: პასუხი დავწერე მხოლოდ ერთი მიზნით, რათა საზოგადოებისთვის მეჩვენებინა მირიანაშვილის ნამდვილი სახე: მისი განათლების და თვალსაწიერის მქონე კაცს არ შეუძლია ითავოს ეროვნული იდეოლოგიის შექმნის საქმე. მას ემარჯვება სხვათა ლანძღვა-გინება, ამიტომ წყნარად და მშვიდად გააგრძელოს თავისი საყვარელი საქმიანობა.

**გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას!**

საყვედურის თქმას არ ვაპირებ – თუ რატომ გამოაქვეყნეთ მირიანაშვილის სტატია. ზოგიერთი თვლის, რომ გაზეთის რედაქციამ ყველაფერი არ უნდა დაბეჭდოს. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. პირიქით, ყველას ყველაფერი უნდა გამოუქვეყნოთ, რათა საზოგადოებამ გაიგოს, თუ ვინ ვინ არის. მე მინდა თქვენ ერთი წინადადება შემოგთავაზოთ.

მირიანაშვილის სტატიის თითქმის ყველა წინადადებაში ლაპარაკია ჩემს უმეცრებაზე და გვხვდება ჩემი შეურაცხმყოფელი გამოთქმები. ცხადია, რომ ერთი და იმავეს ხშირი განმეორებით ჩემი უმეცრების ხარისხი არ გაიზრდება. ამიტომ რედაქციას შეეძლო მათი გაერთიანება და გამოთქმა ერთი წინადადებით, რითაც იგი დაზოგავდა ქაღალდს. საქმე ისაა, რომ მირიანაშვილის ეს სტატია უკანასკნელი არ არის. იგი კიდევ ბევრს მოიტანს მსგავს წერილებს. მირიანაშვილისნაირ ავტორებსაც რა გამოლევს საქართველოში. თუ რედაქცია ამ მხრივ შეასწორებს მათ სტატიებს, წარმოიდგინეთ, როგორ დაზოგავთ ქაღალდის მარაგს. ქაღალდის დეფიციტის იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ გვიხდება მუშაობა, მგონი, ჩემი წინადადება არ უნდა იყოს ურიგო.

### ეპილოგის მაგიერ

**ქაღალდი ყველაფერს იტანს!**
**გაზეთის რედაქცია ყველაფერს იტანს!**
**მკითხველი ყველაფერს იტანს!**
**როგორც ჩანს, უფალიც ყველაფერს იტანს ამიტომ ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ გავიმეოროთ დავით გურამიშვილის შესანიშნავი სიტყვები:**
**„დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“**

# არ არის თვალეზი იმ თვალეზზე მეტად ბრმა, რომლებსაც დანახვა არ სურთ

მედიცინის მამა ჰიპოკრატე ამბობს:

„რასაც წამალი ვერ კურნავს,
რკინა კურნავს,
რასაც რკინა ვერ კურნავს,
ცეცხლი კურნავს“.

ათასწლეულების მანძილზე ეს გამონათქვამი დიდ გამოცანად იყო ქცეული, რადგან ჰიპოკრატე ნილბავს მასში ნეოფიტებისაგან საკრალურ ცოდნას. „რკინა“ ნიშნავს ფილტვებს და აქედან გამომდინარე სუნთქვით ვარჯიშებს. გამოდის, რომ ძველ ბერძნებს და საერთოდ დასავლეთს, სცოდნია სუნთქვითი ვარჯიშები, მაგრამ იგი უფრო მეტსაც ამბობს: რასაც სუნთქვითი ვარჯიშები ვერ კურნავს, კურნავს ცეცხლი. ცეცხლი კი გულია. მაშასადამე, განუკურნებელ სნეულებათა საბოლოო პანაცეა არის გულის და სისხლძარღვების სისტემის მართვა. ეს გამონათქვამი მთელი სიგრძე-სიგანით წარმოდგენილია წიგნში „აგნი-იოგა ექიმებისათვის“, რომლის ავტორია დიდი ჩანდრა, რაც ბატონ თამაზ თავაძის იოგურ წოდებას წარმოადგენს. ეს წიგნი დაიბადა უამრავი სასწაულებრივი მკურნალობის შედეგად.

ზოგჯერ ასეთი სასწაულები ჩვენს გვერდით ხდება, ადამიანები კი ვეჩვევით მათ და ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნევთ ხოლმე.

დიდი ხანია ვიცნობ ბატონ თამაზ თავაძეს, პროფესიონალ იოგს, ჭეშმარიტ ღვთისმოყვარე ადამიანს, უდიდეს მკურნალს. ბატონ თამაზს რომ კითხოთ, რომელ დაავადებებს არჩენთო, გიპასუხებთ: მხოლოდ 3 რამეს ვერ ვარჩენ: სიზარმაცეს, სიჯიუტეს და უმეცრებასო – და იღიმება იმგვარი ღიმილით, თვალთაგან სიყვარული უკვდავ ნაკადად რომ გამოედინება.

დიახ, ეს სინამდვილეა. საზოგადოება „რერიხი – სამყაროს დედას“ ოფისში, რომლის თავკაციც ბრძანდება ბატონი თამაზი, მოდიან სხვადასხვა დაავადებით, უკურნებელი სენით შეპყრობილი უიმედო, თვალში სხივჩამქრალი ადამიანები და აგნი-იოგას სისტემით მკურნალობის შემდეგ ფიზიკურ და სულიერ განახლებას განიცდიან.

მე პირადად ვარ მოწმე იმისა, რომ 8 წლის ბავშვს, რომელსაც ინფექციური პაროტიტი გაურთულდა ჰემორაგიული ვასკულიტის მძიმე ფორმით, ბატონმა თამაზმა ბავშვის უნახავად როგორ დასვა სწორი დიაგნოზი და მკურნალობაც იმ წუთშივე დაიწყო. მე გამომიყენა გამტარად, მთხოვა ბავშვი წარმომედგინა გონებაში, თვალი არ მომეცილებინა მის მკურნალ თვალებს, და როდესაც მან ხანმოკლე ტელეპატიური სეანსის შემდეგ მითხრა: ახლა ბავშვი საჭმელს მოითხოვსო, მე ჩემთვის დავიმახსოვრე დრო. მართლაც, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღის უჭმელობის შემდეგ პირველად ჩანიშნული დროისათვის მოეთხოვა საკვები.

როგორც ექიმს, გამიჩნდა ძალიან დიდი კითხვა: რა ხდება? რა მექანიზმები მუშაობენ იოგის დასწრებულ თუ დაუსწრებელი მკურნალობის დროს. განგებამ თითქოს ჩემი შეკითხვის სრული ილუსტრაციისათვის მთელი ოჯახი ვირუსული გრიპით ლოგინად ჩაგვაწვინა. დაავადება ჯერ მეუღლეს გაურთულდა პნევმონიით. რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერი მედიკამენტოზური მკურნალობის ფონზე ტემპერატურა არ კლებულობდა არც ერთი ხაზით. როდესაც ჩემი მკურნალობა ამოვწურე და ხსნა არ იყო, სურვილი გამიჩნდა, დროზე წაგვეშველებოდა ბატონი თამაზი. თითქოს ჩემი გულის ნადები წაიკითხაო, მეუღლეც ამას ნატრობდა თურმე. შემდეგ ყველაფერი მკურნალისათვის ჩვეული პროფესიონალიზმით მოხდა. მოვიდა და ჩვენს თვალწინ წარიმართა უხილავი სეანსი, სიცხემ დაიწია ჯერ 8 ხაზით და შემდეგ ნორმას დაუბრუნდა. მეორე დღეს მოვისმინე, ფილტვები და ანთების არანაირი კვალი არ იყო.

ჩემს წინაშე მომხდარმა ფაქტმა გაუნელებელი წყურვილი გამიღვივა, მინდოდა გამეგო, რა და როგორ ხდება ავადმყოფის ორგანიზმში.

და აი, დადგა სურვილის შესრულების ჟამი. მადლობა ღმერთს, რომ მიუხედავად მძიმე განსაცდელისა, პასუხი მაინც მივიღე. საქმე ის გახლავთ, რომ მე თვითონ დამემართა კრუპოზული პნევმონია და მწვავე კოლპიტი. სხვაგვარად როგორ იქნებოდა, მე ხომ პასუხს ვითხოვდი. შემეყარა სენი და დავრწმუნდი – მკურნალობის პროცესი მიდის პაციენტის ორგანიზმში ყველა ფიზიოლოგიური მოვლენების სრული გაჯანსაღების მიმართულებით. სულ 5 წუთი იყო ჩემს გვერდით ბატონი თამაზი და ყოველგვარი ვარჯიშისა და სეანსის გარეშე მაშინვე მომეხსნა წელისა და თავის აუტანელი ტკივილები, გაიხსნა ჩაკეტილი ენერგეტიკული არხები, გათბა ფილტვების საპროექციო არე, დაიწია ტემპერატურამ. 4 დღის შემდეგ აუსკულტაციით არავითარი კვალი არ არსებობდა გადატანილი დაავადებისა. განვიკურნე კოლპიტისაგან. ეს მოხდა მალალეფექტური წამლებით მკურნალობის გარეშე.

ჩემს ორგანიზმში ჩატარებულმა სამკურნალო პროცესის დაკვირვებამ და ანალიზმა თვალნათლივ დამანახა, რომ ბატონ თამაზ თავაძის მიერ „აგნი-იოგა ექიმებისათვის“ წიგნში მოყვანილ 5 დოქტრინას ჭეშმარიტი ადგილი აქვს სინამდვილეში. მასში აღნიშნულია, რომ თუ ადამიანი და უპირველეს ყოვლისა ექიმი გამოიყენებს იმ სამკურნალო მეთოდიკას, რაც წიგნშია მოცემული, გარკვეული დროის შემდეგ, დროთა განმავლობაში მას უჩნდება ტელეპატიური მკურნალობის უნარი, რომლისთვისაც არ არსებობს მანძილის სახით წინააღმდეგობა.

უამრავი განკურნებულის მაგალითი ჩემს პირად შემთხვევაში ღებულობს გამართლებას და ვაცხადებ: იოგური მკურნალობის ეს მეთოდი ჭეშმარიტად მეცნიერულია, რადგან იგი მართავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, გულ-სისხლძარღვებს, სისხლის შემადგენლობას.

მსურს ჩემი პრაქტიკიდან მიღებული ცოდნა გავუზიარო ჩემს კოლეგებს და მათ თვითონ გასინჯონ წიგნის მიერ შემოთავაზებულ მეთოდიკა, როგორც კრიტიკული სიტუაციების განუმეორებელი საშუალება.

P.S. თამაზ თავაძე კურნავს არა მარტო ფიზიკურ სხეულს, არამედ ზრუნავს ადამიანის სულიერ აღზრდაზე, რამეთუ ჯანმრთელობა არ მიიღწევა ადამიანში, რომელიც ზნეობის კანონებს არღვევს.

დადის ჩვენს ქალაქში ჭაბუკური შემართებით ადამიანი, რომელსაც თავისი ცხოვრების ქვაკუთხედად გაუხდია უფალი იესო ქრისტეს ძირითადი ცნება: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ღმერთმა გადღეგრძელოთ, ბატონო თამაზ და უმრავლოს ქვეყანას თქვენნაირი მამულიშვილები!

შორენა ჩხიკვაძე
ექიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი ავთო მიქაძე



### ოთხი მეგობარი

მე, ამირან ბუაძემ, გოგი გელოვანმა და აწ განსვენებულმა ტარიელ საყვარელიძემ ერთ საღამოს მშვენიერად მოვილხინეთ, მეორე დილით კი რეპეტიცია გვქონდა. ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ რეპეტიციამდე ნაბახუსევს მიგვერთვა ლუდი, შეკრების დროდ კი დავთქვით დილის ათი საათი. ბატონი ტარიელი, მე და ბატონი გოგი დროზე მივედით. ველოდებით ამირანს, ის კი არა და არ ჩანს. ვიფიქრეთ, ალბათ, ნაქეიფარს დილით ადგომა დაეზარაო, აღარ მოვუცადეთ, გამოვედით „პახმელიაზე" და ისის არის უნდა შევიდეთ რეპეტიციაზე, რომ გამოჩნდა ჩვენი დაკარგული ძმაც. ამირანს ერთი თვისება აქვს, თუ ვინმე რამეს ეტყვის, სჯერა პატარა ბავშვივით. მე ვიცოდი ეს „ნაკლი" და ვიფიქრე, დაგვიანებისთვის ვაზღვევინებ-მეთქი. შევუთანხმდი ბატონ გოგის, ბატონ ტარიელს, რომ ერთი ტექსტი გვეთქვა ამირანისათვის და შევუდექით „თამაშს".

ამირანი მოვიდა ჩემთან და მეც დავიწყე ჩემი „გამოსვლა": სად იყავი, შე ოჯახაშენებულო, ამდენი ხანი რომ გელოდინე, ჩვენ უკვე გამოვედით „პახმელიაზე" ლუდით და სოსისით-მეთქი.

-ადგომა გამიჭირდაო, - მითხრა ამირანმა.

- რაღაცა ფერი არ მომწონს შენი-მეთქი, - ისევ არ მოვეშვი მე.

ამირანმა ჩაიხედა სარკეში. - ჰო, შეიძლება, გუშინ ბევრი დავლიე და რაღაც გული არ მაქვს კარგადო.

საუბრისას გამოჩნდა ჩვენსკენ მომავალი გოგი გელოვანი. - ო, ჩემი შვილობილი მოვიდაო, შესძახა მან ამირანის დანახვისას. - შენ გენაცვალე მე, როგორ მასახელე გუშინ, კაცო, როგორ გულიანად იმღერე, ყოჩაღ შენ, ყოჩაღ! - შეაქო გოგიმ. ამირანი გაიბადრა ამის გაგონებისას.

- კი მაგრამ, ბიჭო, ფერი არ მომწონს შენი, ცუდად ხომ არა ხარ? - იკითხა გოგიმ.

- ჰო, შეიძლება, გუშინ ბევრი მომივიდაო - ჩაილაპარაკა ამირანმა და ცოტა არ იყოს, თვითონაც შეფიქრიანდა „ცუდი ფერის" გამო.

ამ დროს მოვიდა ტარიელიც. - ო, ჩემი კარგი ვაჟკაცი, მოხვედი? როგორ ხარ ბიჭო, როგორ? თუმცა, მოიცა, შენი ფერი რაღაც არ მომწონს, რაშია საქმე? - იკითხა ტარიელმაც.

ამაზე ველარ მოითმინა ამირანმა, - რა ვიცი, ვკვდები, მგონია, ამის დედაო და მიდის.

- ამირან, სად მიდიხარ, რეპეტიციას რას უშვები-მეთქი?

- რეპეტიციის დედაცო, - გაიხურა კარები და წავიდა. რეპეტიციის მერე დავრეკეთ სახლში ამირანთან და მეუღლეს ველაპარაკე.

- ნელი, როგორ არის ამირანი?

- რა ვიცი, არ არის კარგად, სასწრაფო გამოვიძახეთ და ველოდებითო, - მითხრა შეწუხებულმა.

მეც აღარ დავაყოვნე, - ახლავე მოვდივართ გოგი, მე და ტარიელი-მეთქი.

- ოჰ, არა, არ გინდათ, ნუ შეწუხდებითო, - მითხრა ქალმა, იფიქრა, ახლა ესენი მოვლენ და სუფრის გაშლაც არ ამცდებაო.

- რას ამბობ, კაცო, ცოტა ხნის წინ ჩვენთან იყო, ჩვენს გვერდით ტრიალებდა და ახლა მაგას უყურადღებოდ როგორ დავტოვებთ-მეთქი, ახლავე მოვდივართ! - ვთქვი მე, პასუხს აღარ დაუცადე და ყურმილი დავკიდე.

იმ საღამოს გოგი, მე და ტარიელი „დარაზმულები" მივედით ამირანთან. სასწრაფო ვილას ახსოვდა, წამოვაგდეთ ლოგინიდან „ავადმყოფი" და დილამდე ვიქეიფეთ.

### როგორ მიყვარს ავტოინსპექცია

ინსპექტორებთან განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება მაქვს. მე ისინი მიყვარს, მათ მე ვუყვარვარ, ასე რომ, ორმხრივი სიყვარული გვაკავშირებს ერთმანეთთან.

ერთხელაც, მოვდივარ დასავლეთიდან. რიკოთის უღელტეხილზე დავარღვიე მოძრაობის წესები და ინსპექტორმაც ხელის აწევა არ დააყოვნა. გავაჩერე მანქანა.

- რაშია საქმე-მეთქი? - ვიკითხე, ვიცი, რომ მომხვდება, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ.

- თქვენ დაარღვიეთ მოძრაობის წესები და მიჩვენეთ საბუთებიო! - იყო პასუხი.

- მანქანის ფერი შეგეშალათ, მე არ დამირღვევია წესრიგი-მეთქი, - არ გავტყდი მეც.

- საბუთები! - მითხრა მკაცრად ინსპექტორმა.

მე ამოვიღე საბუთები. მართვის მოწმობაში მედო ორი ოცდახუთმანეთიანი, ჩემი თვენახევრის ხელფასი, რომელიც ჩემთვის დიდი ფული იყო, ინსპექტორისთვის კი შეიძლება ბევრი არაფერი. ამოღებისას ეს ფული ძირს დავარდა მიწაზე. მე კი დავინახე, მაგრამ არ შევიმჩნიე, ვიფიქრე, პატარას გავითამაშებ და ვნახოთ, თუ გამიმართლებს-მეთქი.

ინსპექტორმაც შეამჩნია და თვალი გააპარა ფულისაკენ, მაგრამ ის კი ვერ დააფიქსირა, მე დავინახე თუ არა. რამდენიმე ხანში დარწმუნდა, რომ არ დამინახავს ფული და არც მახსოვს, მედო თუ არა მოწმობაში.

მე ისევ ველაპარაკები და ვუმტკიცებ, არ დამირღვევია წესები და შეგეშალა-მეთქი.

- რას ჰქვია შემეშალაო, დაგინახე ჩემი ორი თვალით, მაგრამ როგორ დაგიმტკიცო, რა ხართ ეს მსახიობებიო და თან ფულისკენ იხედება, ცოტაც და შეიძლება თვალები დაუელმდეს. გადაქექა საბუთები და მეუბნება: - კარგი, კარგი, თავისუფალი ხარ, ბედნიერი მგზავრობაო. მე ყურებს არ ვუჯერებ, ნუთუ მიშვებს-მეთქი?

- აბა, კარგად იყავი, მართლა გეუბნები, მე არ დამირღვევია არაფერი-მეთქი, დავწვდი ოცდახუთმანეთიანებს და მივიხურე მანქანის კარები.

(ინსპექტორს ფული, ალბათ, უკვე თავისი ეგონა, მაგრამ არ გაუმართლდა).

- ოხ, შენც კარგი ვინმე ყოფილხარო... მითხრა და ასეთი თბილი ურთიერთობით დავასრულეთ ჩვენი ნაცნობობა.

მეორედ ასეთი რამ შემემთხვა. როგორც ყოველთვის, „პახმელიაზე" ვარ, მაგვიანდება რეპეტიციაზე და ჩქარა მივდივარ. სანაპიროზე დამხვდა ინსპექტორი და ამიქნია ჯოხი. ახლა ვფიქრობ, თუ არ გავჩერდი, გამომეკიდება და დიდ დროს დავკარგავ, ისედაც ვაგვიანებ, ჯობია გავაჩერო მანქანა, იქნება რამე მოვიფიქრო-მეთქი და გავჩერდი.

მოვიდა ინსპექტორიც და ისე ახლოს დამიდგა, კინაღამ ჩამეხუტა.

- რაშია საქმე? - ვიკითხე მე რიხიანად.

- რაშია და ჩქარა მიდიხარო.

- გიჟი ხომ არ ვარ. ალბათ, მეჩქარება და ჩქარა იმიტომ მივდივარ-მეთქი.

- ფუ, რა სუნი გაქვს, შენ „პახმელიაზეც" იქნებიო.

- როგორ არ ვიქნები „პახმელიაზე", ქართველი კაცი ვარ, აბა, არ ვიქნები „პახმელიაზე"-მეთქი. ამ გაბაასების შემდეგ ინსპექტორმა წაიღო საბუთები და წავიდა თავის მანქანისკენ.

- სად მიდიხარ? - გავიკვირვე მე.

- ოქმი უნდა შევადგინოო. - იყო პასუხი.

- შენ წერა-კითხვა იცი მეთქი? - ვკითხულობ ისევ მე.

- რატომ მაყენებ შეურაცხყოფასო?

- იცი თუ არა წერა-კითხვა? - ვაზუსტებ ისევ სიტუაციას.

- რა ლაპარაკია ახლა ეგო! - მითხრა ინსპექტორმა.

- რა ლაპარაკია და წერია თუ არა მანდ მიქაძე ავთანდილ დავითის ძე?

- კი წერია, მერე რაო? - მეკითხება ისევ ინსპექტორი.

- რა და დათიკოს ბიჭი ვარ მე, და-თიკო-სი! - დამარცვლით ვეუბნები მე.

ინსპექტორი ერთი წამით გაჩერდა, დახედა საბუთებს, მერე მე შემომხედა, ალბათ, იფიქრა, ვიღაცა დიდი კაცის შვილიაო.

- მერე, ნელა იარე რა, დაიდიჩ, შენ შემოგევლე, ნელა! - მითხრა მზრუნველი ტონით.

- კაი, კაი-მეთქი, დავუგდე პასუხად, საბუთები ავიღე, დავქოქე მანქანა და წავედი. თან სარკეში ვიყურები. ინსპექტორმა გადაატრიალა ხელები, მხრები აიჩეჩა, და მზერა გამომაყოლა, ალბათ, ვერაფრით გაიხსენა დათიკო მიქაძის ვინაობა.

### ზოგი ჭირი მარგებელია

ერთ მშვენიერ დღეს მივიღე ცნობა იმის შესახებ, რომ „მოსფილმმა" დამამტკიცა სამსერიან ფილმში ტიხონოვთან ერთად ერთ-ერთ მთავარ როლზე. სამი თვით უნდა წავსულიყავი ქალაქიდან, რადგანაც გადაღებები მიდიოდა კარპატებში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიაში. მე ვთამაშობდი მაიორ ინაურს, ჩემთან ერთად როლზე დამტკიცებული იყო ცხონებული შოთა მშვენიერაძე. რა თქმა უნდა, გახარებული ვიყავი მიწვევით, რადგან „მოსფილმი" კარგად უხდიდა მაშინ მსახიობებს... თანაც ხუმრობა ხომ არ იყო, ვნახავდი ჩეხოსლოვაკიას, გერმანიას. ვიფიქრე ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირდა და ამიტომ შევედი ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან, უნდა გამიშვათ-მეთქი გადაღებაზე. მაშინ მთავარ როლებს ვთამაშობდი თეატრში და თითქმის ყველა სპექტაკლში ვიყავი დაკავებული.

გიგამ უარი მითხრა, - შენ რომ წახვიდე სამი თვით, მე რეპერტუარი უნდა მოვხსნაო, ამიტომ აირჩიე ან კინო, ან თეატრიო, სპექტაკლებს კი ვერაფრით ვერ ჩავაგდებო. ერთი სიტყვით, უარი მითხრა გაშვებაზე. მოვდივარ თეატრის ფოიეში ყურებჩამოყრილი და მხვდება ბატონი ტარიელ საყვარელიძე. - რა მოგივიდაო? - მკითხა მან. მეც აუხსენი ყველაფერი. წამოდი, ერთად შევიდეთო, მითხრა ტარიელმა და შემიყვანა ისევ გიგასთან.

- გიგა, ხომ იცი, ეს ბოვში რა კარგი ბოვშია, მოდი, ერთი სამი თვე რაცხა მოვუხერხოთ და გოვუშვათო.

- ტარიელ! შენ მე გადამრევ, ამ რეპერტუარს რა ვუყო, სპექტაკლებს ხომ ვერ მოვხსნი შუა სეზონში, ან თეატრში დარჩეს, ანდა კინოში წავიდესო! - თქვა კატეგორიულად გიგამ.

„ჩაწყობა" არ გამოუვიდა ბატონ ტარიელს.

მეორე დღეს ჩემს ძმაკაცს შვილი შეეძინა და მეგობრებთან ერთად აღმოვჩნდი წყნეთში. მე თამადა ვარ, მიმყავს სუფრა და მიდის ქეიფი. იმ საღამოს თურმე სპექტაკლი მქონდა და აღარ მახსოვდა. სახლში კი იცოდნენ, სადაც ვიყავი, მაგრამ თეატრში ძებნა იყო გამოცხადებული. გახდა რვის ნახევარი, არ ვჩანვარ, რვაზე კი სპექტაკლია დანიშნული. დამიწყეს ძებნა და მომაკითხეს წყნეთში, საიდანაც სასწაულ მთვრალ მდგომარეობაში მიმიყვანეს თეატრში. არ იციან, რა ქნან, სპექტაკლს ვერ მოხსნიან, რადგან ეს უკვე „ჩეპეა". დაიწყება



გამოკითხვა, გამოძიება, რასაც არასასურველი შედეგები მოყვება. დგანან და ორჭოფობენ, გამიშვან თუ არა სცენაზე. ჩემმა პედაგოგმა მედეა კუჭუხიძემ იმედი გამოთქვა. ვენდობი ავთოს, ვიცი, რომ ითამაშებსო და შემაგდეს სცენაზე. ეს იყო სპექტაკლი „პრემიერა", სადაც მთვრალს ვთამაშობდი.

მე არ მახსოვს, როგორ შევედი სცენაზე, როგორ ვითამაშე, მაგრამ სპექტაკლი კი ჩავამთავრე. საღამოს წამიყვანეს სახლში, დილით გამოვიღვიძე და გავიხსენე წინადღე, ჩემი ქეიფი, სპექტაკლი და ვაი... გაგდება ზედა მაქვს-გავიფიქრე მე. ვინ მაპატიებს მთვრალ მდგომარეობაში სცენაზე გამოსვლას.

მივედი თეატრში და დამხვდა ბრძანება თეატრიდან ჩემი დათხოვნის. შევედი გიგასთან - ბატონო გიგა, რეპერტუარს რას უშვებით-მეთქი?

- ავთო, შენ რომ ეს გაპატიო, მერე სხვა გაიმეორებსო. -მიპასუხა მან.

მართალიც იყო, თეატრში ნასვამი მისვლა თავის უპატივცემულობაცაა და მერე მაყურებელს რაღას ერჩი? ერთი სიტყვით, გამათავისუფლეს ისღა გავარკვიე, რომ ჩემს შტატს მინარჩუნებდნენ, მხოლოდ აღდგენისათვის დრო იყო საჭირო. ერთი რამ შევამჩნიე გიგას, ისიც ახსოვდა, რომ კინოში მინდოდა გადაღება, მიზეზიც მიეცა და ხელიც შემიწყო ჩემი განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის. მეც წავედი გადაღებებზე, შემოვიარე მოსკოვი, კარპატები, ჩეხოსლოვაკია, გერმანია. ფილმის გადაღება დავამთავრეთ, სასტუმროში მირეკავს მალხაზ ბებურიშვილი და მეუბნება: - ავთო, იტალიის ფესტივალზე ვართ მიწვეულები, დუმბაძის „მე ვხედავ მზე"-ში სოსოიას როლი უნდა ითამაშო, თეატრში აღგადგინეს და თუ მორჩი გადაღებებს, სასწრაფოდ დაბრუნდი ქალაქშიო.

მე, რა თქმა უნდა, გამიხარდა, თეატრში დავბრუნდი, ორი კურდღელიც დავიჭირე და საბოლოოდ გრანდიოზული კრუიზიც გამომივიდა: მოსკოვი, ჩეხოსლოვაკია, კარპატები, გერმანია და იტალია.



„შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბაღეთა კუნძულზე"

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება პრივატიზებული კაპიტალური სახლი 1200 კვმ ბაღით, თეთრიწყაროს რაიონში, ასურეთის საავარაკო სამეურნეო ტერიტორიაზე. 1 სართულზე დარბაზი, სამზარეულო, საკუჭნაო, ბუხარი. II სართულზე - ორი ოთახი შუშაბანდით და 10 კვმ ღია აივნით, III (მანსარდში) - ერთი ოთახი შუშაბანდით. გაყვანილია ელექტრობა და სარწყავი სისტემა. ფასი 7800 ლარი ან შეიძლება გაცვლა თბილისში ორ ან ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 30-34-96 (დილას ან საღამოს).

იყიდება არასტანდარტული, პრივატიზებული ბინა აბანოთუბანში იტალიურ ეზოში, საერთო ფართით 55 კვმ. პირველ სართულზე. აქვს სარდაფი, მანქანის დასაყენებელი ადგილი. სამზარეულო და სველი წერტილი საკუთარია. საწყისი ფასი 10000$ მისამართი: გორგასლის №21 იკითხეთ ლელა ან ბელა

მეტრო „სამგორთან“ იყიდება კერძო ბინა, საცხოვრებელი ფართი 52 კვმ, დიდი ეზოთი, საორიენტაციო ფასი 13000$ ტელ. 74-59-95 მერი

იყიდება კერძო სახლი, ორსართულიანი, 9 ოთახით, ვაკეში. საერთო ფართი 215 კვმ, ეზოს ფართი 1500 კვმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-21-75

იყიდება ტიპიური 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, 8 სართულიანის მე-8 სართულზე. რკინის კარებით, ქუჩის მხარეს პატარა აივანი სათავსოთი. ფასი 11000 დოლარი. ტელ. 61-71-46 ნანა

იყიდება 1,5 სარემონტო ბინა ბახტრიონის ქუჩაზე, საერთო ფართი 45 კვმ, ფასი 12000$ ტელ. 36-01-11

იყიდება 4 ოთახიანი გარემონტებული, არასტანდარტული ბინა ვაკაფშაველას დასაწყისში, საერთო ფართი 110 კვმ, კაპ.ავტოფარეხით და სარდაფით. ფასი 50000$ ტელ. 36-01-11

იყიდება 2 ოთახიანი კერძო ბინა ლეონის ქუჩაზე ხეხილიანი ბაღით, სარდაფით, მარნით და ავტოფარეხით. ფასი 38000$ ტელ. 38-01-11

ქალაქის ცენტრალურ რაიონში, სიმონ ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე ბავშვთა ქალაქ-პარკ „მზიურის“ მოპირდაპირე მხარეს მდინარე ვერეს ნაპირთან იყიდება არასტანდარტული პროექტის 6 ოთახიანი ბინა საერთო ფართით 200 კვმ (მათ შორის ოთახები 49+21+21+19+17+17), დიდი ჰოლით და ორი სანკვანძით 15X16-ზე, შესანიშნავი ხედით მუდმივი ელმომარაგებით, ლიფტების საკითხი გადაჭრილია, საერთო გენერატორით) სარდაფითა და კაპიტალური დიდი გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 36-33-22 იკითხეთ თამრიკო ან დათო.

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება კეთილმოწყობილი ბინა 4 ოთახით (3+1) ჩარგლის 22, ბ.21. ღრმაღელის მეტროსთან. 5 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. სახლის ფართი 80 კვმ ლოჯიით, ტელეფონით, რკინის კარით. ორი საკუჭნაოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 60-66-42 გია

იყიდება საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში. როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით. კეთილმოწყობილი სახლის ფართი 80 კვმ, აქვს საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ცხელი წყალი და დიდი სარდაფი. ტელ. 72-26-31

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, კარგი რემონტით, ტელეფონით, გარაჟით, სარდაფით. ნუცუბიძის 211, კ.4, სად. 1, მე-6 სართული. ბ. 16. ფასი შეთანხმებით ტელ. 31-25-83

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 220 კვმ, დიდი სარდაფით, რემონტით, ავტოფარეხით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

იყიდება 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა დიდ დიღომში. ტელ. 96-79-38

იყიდება 3 ოთახიანი მაღალჭერიანი იზოლირებული ბინა 2 სართულიანი ეზოიანი სახლის მე-2 სართულზე ტელეფონით, დეზერტირების ბაზართან. წინამძღვრიშვილის 182 ტელ. 34-30-71

იყიდება 1,5 ოთახიანი ბინა, ჩეხური პროექტი, მე-8 სართულზე, ნახევრად გარემონტებული, სამშენებლო მასალით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 74-72-43

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის ქ. №44-ში, მე-3 კორპ. I სად. მეორე სართული ბინა 4. ოთახების ფართი 20+15+15 ლოჯია - 24 კვმ, ჭერი - 3,15 მ. წაბლის კარფანჯრით, გისოსებით, ჩაშენებული კარადებით. ორი ღია აივნით, სარდაფით, ტელეფონით, რკინის კარებით. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ. 39-66-44

იყიდება მეტრო „დელისთან“ კუთხის ტიპიური სამოთახიანი ბინა 5სართულიანის მე-3 სართულზე. სამმხრივი მიშენებით. მიშენება სარემონტოა. ოთახების ფართი 106 კვმ ტელეფონით, რკინის კარებით. აივნებით და სათავსოებით. ფასი 20000 დოლარი. ტელ. 22-71-29 მარინე

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება სასწრაფოდ რეალური ღირებულების მესამედ ფასში 3 სართულიანი კაპიტალური სახლის მე-3 სართული. 6 ოთახი. საერთო ფართი 200 კვმ, ჭერის - 3,5. საკუთარი იზოლირებული 400 კვმ ხეხილიანი ეზოთი. კაპიტალური გარაჟი - 2 მანქანისათვის, სამხატვრო სახელოსნოთი, გათბობის, განათების, წყლის სისტემით. ფასი 40000 დოლარი. ტელ. 96-23-45

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი ბინა 9X7, გაურემონტებელი, ტელეფონით, აქვს სარდაფი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი, ფასი 6000$ თემქის დასახლება, მე-3 მიკრორაიონი. ტელ. 96-69-75

## ვასწავლი

ვარ კვალიფიციური სტაჟიანი პედაგოგი. მოვამზადებ ბავშვებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში ქართული სკოლებისათვის და გერმანულ ენაში. დარეკეთ ტელ. 51-56-66 ქეთია

შევასწავლი ერთ თვეში საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვას „ბრმა“ ბეჭდვის მეთოდით. ტელ. 74-19-54 მაია

შევასწავლი გიტარაზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77 მაიკო

## ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, ხიდთან, 14 სართულიანი სახლის ბოლო სართულზე. ტელეფონით, ბუხრით, ლიფტი მუშაობს. ფასი 120 დოლარი. ტელ. 98-25-63

ქირავდება ოთხნახევრიანი ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან“ ხტუდენტ გოგონაზე. ტელ. 38-70-51; 38-26-88 მერი

ვაქირავებ 2 ოთახიან იზოლირებულ ბინას, ავეჯით, ტელეფონით, ქავთარაძის ქუჩაზე ტელ. 22-15-75

## სხვადასხვა

იყიდება ავტომანქანა „ვაზ-2106“ გამოშვებული 1987 წელს, კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 2800$ ტელ. 60-66-42

იყიდება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სრული კომპლექტი. უხმარი. ფასი 100$ ტელ. 74-12-63

შევიძენ 7-8 წლის ჟიგულის მარკის ავტომანქანას 1500 დოლარის ფარგლებში. ტელ. 98-25-63

იყიდება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით, კეთილმოწყობილი მაღაზია. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი, ლიფტით, 250 კვ.მ ფართით. ტელ. 72-26-31

იყიდება იმპორტული 15 სანთლიანი ბრინჯაოს ჭაღი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-51-96

იყიდება ან იცვლება მსუბუქ ავტომანქანაზე 1991 წელს გამოშვებული სამხედრო ორხიდიანი „OA3“ (ვილისი). ფასი 2000 დოლარი. ტელ. 95-69-71

ვყიდი სასადილოს „710“ კარგ მდგომარეობაში. ტელ. 36-26-09

იყიდება გერმანული კედელი. ტელ. 36-26-09

იყიდება თბილისიდან 18 კმ დაშორებით ბაქოში მიმავალ გზაზე ბენზინის გასამართი სადგური. ტელ. 36-26-09

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური პიანინო „როსლერი“, ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-87-83 ნონა

იყიდება რუმინული სამზარეულო, იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი“ 72 დ.გ. იაპონური ვიდეომაგნიტოფონი „პანასონიკი“, ტელევიზორი „იუნოსტ - 406დ“ შავ-თეთრი 33 დიაგ. კონდიციონერი ბკ-1500, საბეჭდი მანქანა „ლისტვიცა“ ქართული შრიფტით, ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი 2-მ“, წყლის გამაცხელებელი ატმორი - სუპერ, ისრაელის გამოშვება, ტრანზისტორი „ოკეანე“ ელემენტებზე ტელ. 72-26-31

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები.*

## პ

პავლაშვილი - 21 (გორი - 7; გარდაბანი - 5; დედოფლისწყარო - 2);

პანკაძე - 20 (კასპი - 20);

პაპაძე - 47 (ბათუმი - 13; ხელვაჩაური - 34);

პარასტაშვილი - 36 (თბილისი - 20; ბორჯომი - 1; რუსთავი - 15);

პარკინაშვილი - 32 (თბილისი - 12; ახმეტა - 5; თელავი - 5);

პარლაგაშვილი - 43 (ბორჯომი - 1; თბილისი - 42);

პარსალიშვილი - 28 (ახალგორი - 11; თელავი - 5; დუშეთი - 1);

პატარია - 36 (თბილისი - 17; ლანჩხუთი - 6; სენაკი - 6);

პატარკაცაშვილი - 25 (ახმეტა - 16; თბილისი - 4; რუსთავი - 5);

პატარკაცი - 21 (თბილისი - 2; საგარეჯო - 19);

პატიშვილი - 39 (თბილისი - 5; გურჯაანი - 4; თელავი - 30);

პატრიშვილი - 30 (დუშეთი - 16; თბილისი - 13; მცხეთა - 1);

პაჩოშვილი - 28 (ახმეტა - 23; თბილისი - 3; გურჯაანი - 1);

პეიტრიშვილი - 23 (თბილისი - 4; გურჯაანი - 1; ყვარელი - 18);

პეპანაშვილი - 46 (თბილისი - 18; კასპი - 7; გორი - 1);

პეპინაშვილი - 45 (ახმეტა - 27; თბილისი - 13; თელავი - 3);

პეტრუაშვილი - 31 (თბილისი - 11; ლაგოდეხი - 1; მცხეთა - 19);

პილპილაშვილი - 28 (მცხეთა - 20; თბილისი - 1; რუსთავი - 7);

პინაიშვილი - 21 (ლანჩხუთი - 11; თბილისი - 8; ბათუმი - 1);

პიპანაშვილი - 26 (გორი - 24; თბილისი - 2);

პიპინაშვილი - 48 (თბილისი - 36; ზუგდიდი - 3; ახალგორი - 1);

პირადაშვილი - 27 (თბილისი - 15; თელავი - 11; ყვარელი - 1);

პირკულაშვილი - 26 (თბილისი - 26);

პირპილაძე - 25 (ბათუმი - 15; ხელვაჩაური - 10);

პიჭუტავა - `33 (სენაკი - 17; ტყიბული - 5; აბაშა - 1);

პლატონაძე - 26 (ბათუმი - 18; ქედა - 7; ქობულეთი - 1);

პლაჭიაშვილი - 34 (ახალციხე - 25; ასპინძა - 8; ლანჩხუთი - 1);

პოლიკაშვილი - 27 (თბილისი - 17; დედოფლისწყარო - 9; ლაგოდეხი - 1);

პოლოზაშვილი - 36 (გორი - 27; თბილისი - 4; რუსთავი - 5);

პოჩიკაშვილი - 31 (თეთრიწყარო - 28; თბილისი - 1; რუსთავი - 2);

პუტრიაშვილი - 33 (სიღნაღი - 17; თბილისი - 8; რუსთავი - 4);

პწკილიშვილი - 30 (თელავი - 16; რუსთავი - 12; თბილისი - 1).


## ბიზნესმენების საყურადღებოდ!

გთავაზობთ სპეცტექნიკას ინფორმაციის დასაცავად და კავშირგაბმულობის საშუალებებს: ტელეფონის ხაზების, გამოთვლითი ტექნიკის და ოთახების დაცვა ინფორმაციის გაჟონვისაგან; არასანქციონირებული მოსასმენი და ჩამწერი მოწყობილობების დადგენა-აღმოჩენის სისტემებს; ლითონდეტექტორებს; დიქტოფონებს; ფოტოაპარატებს; ღამისმხედველობის ხელსაწყოებს; დურბინდებს; სატელევიზიო დაკვირვების სისტემებს; კონტროლის და დაშვების სისტემებს: თითის ანაბეჭდით და მაგნიტური ბარათებით; დაცვისა და სახანძრო სიგნალიზაციას; ჯავშანჟილეტებს; მოკლეტალღიან და ულტრამოკლეტალღიან რადიოსადგურების; რადიოტელეფონებს; მინი სატელეფონო სადგურებს და ტელეფონების აპარატებს; ვიდეო და აუდიო დომოფონებს; კოდირებულ ელექტროსაკეტებს.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი.

საკონტაქტო ტელეფონები: 98-26-27; 98-23-62



ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ ყოველდღე:
93-18-41


# ჰოროსკოპი

## 29-30 აპრილი

ვერძი - გადაიღალეთ? დეპრესიას ნუ აყვებით, მიხედეთ ჯანმრთელობას.

კურო - ოჯახურმა ფუსფუსმა მძიმე ხასიათზე თუ დაგაყენათ, გაღიზიანებას ნუ მისცემთ გასაქანს, გაისეირნეთ, გარემო გამოიცვალეთ.

ტყუპები - სიხარული კარგი წინაპირობაა, რომ ოჯახს მიხედოთ და ნათესავები თქვენი ყურადღებით გაახაროთ.

კიბო - კარგი დრო გაქვთ მოგზაურობისათვის.

ლომი - მშვენიერ ხასიათზე დადგებით და თვითანალიზს შეუდგებით; კარგია ისეთ დროს მარტო ყოფნა, როდესაც მთელი სამყარო თქვენში ბობოქრობს.

ქალწული - მხიარული განწყობილება სამოგზაუროდ განგაწყობთ, ნუ ფიქრობთ ბევრს, მოგზაურობა სასიამოვნო იქნება.

სასწორი - ამდენი აწონ-დაწონვა არ შეიძლება, იფიქრეთ და გადაწყვიტეთ.

მორიელი - აქტიური დასვენება, გარემოს გამოცვლა თქვენს ჯანმრთელობას და კარიერას სარგებლობას მოუტანს. ოღონდ ნუ გადაამლაშებთ, თავი შეიკავეთ ახლადგაცნობილ ადამიანებთან, ძალიანაც ნუ გადაუშლით გულს.

მშვილდოსანი - დრო მოგეცათ თვითანალიზისათვის. ძალიან კარგი, ოჯახი მთლად არ დაივიწყოთ.

თხის რქა - დაისვენეთ, იმოგზაურეთ.

მერწყული - სასწრაფოდ შეაჩერეთ უსაგნო ცხოვრება, მიხედეთ ოჯახურ საქმეებს და ყურადღებით მოეპყარით ოჯახის წევრებს.

თევზები - ჩვეულებრივი დღეების დასასრული მოგზაურობის დასაწყისია.

## თამბაქო და... ფორმულა —1

ამიერიდან კანადა შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელთაც თავიანთ ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის რეკლამა აკრძალეს. სენატმა ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომელმაც ბოლო მოუღო რადიოში, ტელევიზიაში და ქუჩაში სიგარეტის პროპაგანდას.

კანონპროექტის მიღებამ რამოდენიმე თავსატეხი მაინც შეუქმნა აღმასრულებელ ხელისუფლებას. კანადაში „ფორმულა–1"-ის რბოლების თაყვანისმცემელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობს, ხოლო როგორც მოგეხსენებათ, ამ შეჯიბრებაში მოასპარეზე მანქანები თამბაქოს რეკლამას ეწევიან. ასე რომ, ან გულშემატკივრებს მოუწევთ საყვარელ რბოლებზე უარის თქმა, ან აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონის დარღვევაზე თვალის დახუჭვა.

## სად ერეკლე და...

ისხდნენ ევროკავშირში უსაქმურად და... პოსტკომუნისტურ სივრცეზე აღმოცენებული სახელმწიფოების პარლამენტთა საკანონმდებლო აქტიურობით აღტაცებულებმა, აქაო და, პურს არც ჩვენ ვჭამთ ტყვილადო, ადგნენ და თვითონაც გამოაცხვეს კანონი... სათევზაო ბადეების და მისი უჯრედების ზომების შეცვლის შესახებ. გამწარებული მეთევზეები მთელ რიგ ქვეყნებში საპროტესტო აქციებით შეხვდნენ ევროკავშირის მესვეურთა ინიციატივას. ფრანგმა მეთევზეებმა შეკრიბეს რამოდენიმე ათეული სარეწი გემი და მათი საშუალებით გადაკეტეს ლუვრის პორტისაკენ მიმავალი გზა. ამბობენ, ინგლისელმა მეთევზეებმა პროტესტის ორიგინალურ ფორმას მიაგნეს... მათ სულ მალე განზრახული აქვთ გაფუჭებული თევზის უხვი რაოდენობით აავსონ ევროკავშირის შტაბ-ბინა და რეგიონალური ოფისები.

ალბათ, ყველა თქვენთაგანს გინახავთ ის და მისნაირნი... ვისაც მიწისქვეშა გადასასვლელებით გისარგებლიათ. გაუბედურებული მოხუცების, მაწანწალა ბავშვების და ათასნაირი, მდუმარე თუ „მომღერალი" მათხოვრების გვერდით, დგას კედელზე მიყრდნობილი, წინ ქაღალდის ყუთი უდგას (სადაც ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, თავისი „კონცერტის გასამრჯელოს უხდიან"), უკეთია შავი სათვალეები, უკრავს გიტარაზე (არცთუ ისე ურიგოდ) და მღერის...

განახავთ ის. ზოგს გულგრილად გაგივლიათ გვერდი და ზედაც არ შეგიხედავთ, ზოგს სიბრალულით გაგიქნევიათ თავი და ათეთრიანი მონეტაც ჩაგიგდიათ ყუთში, ზოგს ბრაზით ჩაგილაპარაკიათ: „გაივსო თბილისი მათხოვრებით, ნეტავ მე რა გამაჩნია, შენ რომ მოგცეო".

რომელი თქვენთაგანია მართალი, ეს მხოლოდ უფალმა განსაჯოს, მაგრამ ის თუ გიფიქრიათ ოდესმე, გასაუბრებოდით მას, გაგეგოთ, თვითონ ის ვის უწოდებს თავისთავს, რამ მოიყვანა აქ და საერთოდ, რისი იმედი აქვს ხვალ...

ვცადოთ.

თავიდან მან ძალიან შორს დაიჭირა თავი, ირონიულად გაიღიმა და ეცადა თავიდან მოვეშორებინე. თურმე დღეს მეხუთე ადამიანი ვარ, ვისაც მისგან ინტერვიუს აღება უცდია (სხვათა შორის, ერთი ამერიკელი ყოფილა, თარჯიმანთან ერთად მოსული).

თხუთმეტი წუთის საუბრის მერე ყინული ლხვება, ჩვენ „მიწისქვეშეთიდან" ამოვდივართ და უახლოეს კაფეში შევდივართ. მსურს საუბარი უშუალო და გულახდილი იყოს, ყავას და კოკა-კოლას ვიღებ, მაგრამ ის არაფრით მახდევინებს ფულს და სახეზე (მიუხედავად იმისა, რომ შავ სათვალეს არ იხსნის) უკმაყოფილო საყვედურიც ეხატება...

უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, აფხაზეთის ომი რომ დაიწყოო – უხალისოდ იწყებს თხრობას – ბევრ ჩემს თანატოლს მშობლებმა წაუხდინეს მოხალისეთა ჯგუფში ჩაწერის ხალისი, მაგრამ მე მხოლოდ ერთი ბებია მყავდა, ბევრიც იტირა და ივიშვიშა საცოდავმა (უკვე ცხონებულმა) მაშინ, მაგრამ ვერ გადამათქმევინა. სოხუმის დაბომბვის დროს დავიჭერი, მარცხენა ფეხს ახლაც ვერ ვხრი – ჯიბიდან სურათი ამოიღო და მომაწოდა, რამდენიმე ფორმიანი, ავტომატგადაკიდებული ახალგაზრდა იყო გადაღებული, თვითონ წინა პლანზე იდგა, გაღიმებული (უსათვალოდ, რა თქმა უნდა), კარგახანს მეჭირა სურათი, უკან რომ დავუბრუნე, სათვალე მოეხსნა და მე ცივწყალგადასხმულივით შემაკრთოლა, ცალი თვალის მაგიერ დამწვარი, ჩაშავებული, ჩაღრმავებული ბუდის დანახვაზე. – „ესეც აფხაზეთის საჩუქარიაო" – თითით მანიშნა და ისევ სათვალე გაიკეთა.

რამდენიმე წამს დადუმდა და არც მე მიცდია სიჩუმის დარღვევა. მოთმინებით ველოდი, როდის გააგრძელებდა თავის ისტორიას... ერთი მომენტი ისიც კი ვიფიქრე, გადაიფიქრა, ახლა ადგება და წავა-მეთქი.

– აფხაზეთიდან რომ დავბრუნდი, საცოდავი ბებიაჩემი აღარ დამხვდა, ბინა (თუ იმას ბინა ჰქვია) ჩემს სახელზე დაუტოვებია ანდერძით. ერთმა მიითვისა ჩვენი ნაოფლარი, ორჯერ... გულმა არ მომითმინა და შემომელახა... ეს სამსახურიც დავკარგე.

დავრჩი ასე უსახსროდ. ნათესავები კი მყავს, ყველას სამსახურის შოვნას ვთხოვდი, მაგრამ ამაოდ. ისე მოხდა, ერთი რამდენიმე დღე აბსოლუტურად მშიერი დავრჩი, ჩემი მდგმური იმ პერიოდში გამოცდებისთვის ემზადებოდა. სახლში ვიჯექით მშიერ-მწყურვალნი, გათოშილები. ერთი ლიტრი ნავთის საყიდელი ფულიც აღარ დაგვრჩა, ვერც ვისესხეთ, რამდენჯერ უნდა გვესესხა... ჩაი მაინც რომ აგვედუღებინა და ერთი პური გვეყიდა... იმ დღეს მოვედი პირველად აქ.

## გათხოვარი... თუ?!

ჩემმა მეგობარმა ერთ საკუთარ რესტორანში მიშოვა სამუშაო. ბავშვობიდან ვუკრავდი სამ ინსტრუმენტზე: პიანინოზე, გიტარაზე და საქსაფონზე, მაგრამ ოდესმე თუ ეს საქმიანობა ჩემი ლუკმა-პურის შოვნის წყარო გახდებოდა, ვერასოდეს ვიფიქრებდი. რაღაც გამოდიოდა. შიმშილით არ ვკვდებოდი. ერთ მშვენიერ დღეს რესტორანში ჩხუბი ატყდა. იქვე, ჩემს მახლობლად ისხდნენ მაგიდასთან. ყურისგდება არც მიფიქრია, უნებურად მესმოდა ყველაფერი. ორი „ძველი" ურტყამდა ერთ უდანაშაულო ბიჭს. გულმა არ მომითმინა და ჩავერიე. ყველანი დაგვიჭირეს. ძლივს დავაღწიე თავი. პოლიციაში იმდენი ფული მომთხოვეს, ერთად არც მქონდა ნანახი დღემდე. მეზობლის ქალი დამეხმარა, თუკი ბებიაჩემს რაიმე ნორმალური ჰქონდა: ქალი, ხალიჩა, ჭურჭელი, ყველაფერი „მშრალ ხიდთან" ჩაიტანა და გაყიდა. ფული პოლიციაში მივიტანე და მომეშვნენ.

ერთმა მეზობელმა მირჩია, ოთახი გააქირავე, სანამ რაიმე სამუშაოს იშოვიო. ასეც მოვიქეცი. ერთი თვეც არ იყო გასული, ჩემი მდგმური ახლოს გავიცანი. ერთი წესიერი სტუდენტი ბიჭია, ჩემზე ნაკლებად არც მას უჭირს... რა ნამუსით უნდა გადამეხდევინებინა ბინის ქირა... ვცხოვრობთ ახლაც ერთად, ვმეგობრობთ, რაცა გვაქვს, შუაზე ვიყოფთ.

ერთი გოგო მიყვარდა. გათხოვდა. მე მასზე არ ვბრაზდები, ალბათ, ჭკვიანურად მოიქცა... ალბათ, მთელი ცხოვრება მეყვარება.

რაღაც ორი თვე კიდევ ვიმუშავე. რომელიღაც ფირმამ ოფისი შეისყიდა და კაპიტალურად არემონტებდა. ერთი უნამუსო „პრარაბი" გვყავდა. ერთხელ სამ ლარამდე მომიგროვდა. ისე ვიყავი შიმშილით დაოსებული, დიდხანს ვერ გავჩერდი, თორემ იქნებ მეტიც გამომსვლოდა, არის დღეები არც ამდენი გამომდის, ხანდახან კი ბედი გამიღიმებს და ათ ლარამდეც ავდივარ.

– ინსტიტუტში აღდგენაზე არ გიფიქრიათ?

– ჯერჯერობით არა, გაზაფხულზე სოფელში ვაპირებ წასვლას, ჩემს მდგმურთან ერთად, ახლა იქ სამუშაო არ არის, გაზაფხულზე იქნება რაღაც...

– ყოფილა შემთხვევა, რომ დაცინვის ან დამცირების ობიექტი გამხდარიყავით?

– მე არ მაინტერესებს იმ ხალხის აზრი, ვინც დაცინვით ჩამივლის გვერდს, მაგრამ ერთხელ ორი ნასვამი ახალგაზრდა ამეკვიატა, იქამდე არ მომეშვნენ, სანამ ერთს არ წავცხე, მეორე მაშინვე გაიქცა...

– რა აზრისა ხართ ჩვენს მთავრობაზე?

– გეტყოდით, მაგრამ რა აზრი აქვს, მაინც არ დაწერთ სიმართლეს.

– იქნებ დავწერო.

– ვითომ?!

– ვეცდები.

მართალი გითხრათ, ვერ გავიმეორებ იმ სიტყვებს თუნდაც იმიტომ, რომ ქალი ვარ...

– ვთქვათ, საოცრება მოხდა და ხვალ თქვენ მთავრობის სათავეში მოხვდით, თქვენ რას მოიმოქმედებდით?

– იცით, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, არც პრეტენზია მაქვს, მაგრამ თუკი ისინი იქ ზიან, კიდეც უნდა იზრუნონ ხალხზე და ქვეყანაზე, თუ ოჯახის უფროსი არვარგა, იმ ოჯახში ყოველთვის ცუდად მიდის საქმე.

– როგორ ადამიანს ვერ იტანთ?

– ორპირს და მოღალატეს, დანარჩენი ყველაფერი ეპატიება კაცს, შეცდომაც ეპატიება, მაგრამ ორპირობა და მოღალატეობა შემთხვევით არასოდეს არ ხდება.

– თქვენი აზრით, როდის ეშველება საქართველოს?

– იქნებ ოდესმე რამე ეშველოს, მაგრამ ჯერჯერობით არა მგონია, ქვეყანაში, სადაც შვიდი ლარია ხელფასი და ათი ლარი შუქის და წყლის გადასახადი... თანაც ქართველი კაცის ბუნება ოდითგანვე ხარბია, ისტორიულად ჩვე[ნ] ცოტა გვყავდა ისეთი მეფეები, რომლებიც მხოლოდ თავის ხალხზე და ქვეყანაზე ზრუნავდნენ...

უცებ ჩუმდება, საათზე იყურება, გასაგებია, საუბარი დამთავრებულად უნდა ჩავთვალო. ვდგებით, ის გიტარას იღებს და მაცილებს. სამარშრუტო ტაქსების გაჩერებასთან მივდივარ, ვემშვიდობები და ვთავაზობ, ხვალ ფოტორეპორტიორთან ერთად მოვალ და სურათს გადაგიღებთ-მეთქი.

– ვნახოთ, აი მაგაზე დავფიქრდები, ხვალ რომ იქ არ დაგხვდეთ, ე.ი. გადავიფიქრე.

სამარშრუტო ტაქსის მძღოლთა[ნ] მიდის და რაღაცას აწვდის.

– თქვენი გადახდილი იქნება – მეუბნება და ჩემს გაკვირვებულ მზერას ასეთი სიტყვებით პასუხობს: – მ[ე] იქ იმიტომ ვდგევარ, რომ ხანდახა[ნ] ცოტათი მაინც ვიყო კაცი, ქალს პატივისცემა უნდა...

მეორე დღეს ცოტათი შემაგვიანდა მისვლა. ის თავის ადგილას აღარ დამხვდა. იქვე წიგნების გამყიდველ[ი] ქალი თავის საქონელს ყუთებში ალაგებ[და]. შევეკითხე. წარმოიდგინეთ, თურმე მოსულა და დაუბარებია: – სურათის გადაღებაზე თავს ვიკავებ, [დღეს] დღეიდან სამუშაო ადგილს შენს გა[მო] ვიცვლიო.

გაოცებული ამოვედი მიწისქვეშ[ა] გადასასვლელიდან. უკვე ბინდდებოდა, თბილისი განათებული იყო. ნაირფერ[ი] ლაპლაპა „ინომარკები" სრიალად ჩამ[ი]იქროლებდნენ გვერდით, ცხოვრებ[ა] თბილისში თავისი გზით მიედინებოდა. მოსახვევში თეთრი „მერსედესი" ისეთ[ი] სისწრაფით გამოვარდა, ლამის ფეხ[ე]ბზე გადამიარა, დაამუხრუჭა, კარი გა[მ]ოაღო, ბრიოლინით თმებგადავარცხ[]ნილი ოციოდე წლის ახალგაზრდა იყ[ო].

– ქალო, თვალებში რა გაქვ[ს] შენი... – ერთიც შემიკურთხა და მან[ქ]ანა ისეთი სისწრაფით მოწყვიტა [ადგ]ილს, ბორბლების წრიპინმა გაა[ყრ]უ იქაურობა.

რატომღაც თბილისის ბინდშ[ი] ჩაკარგული ჩემი „მათხოვრის" სიტყვებ[ი] ჩამესმა: – ქალს პატივისცემა უნდა[ო] და რაღაც ჩამწყდა გულში.

ნატა სალუქვაძე

## კაიფვორდი



თარაზულად: 5. „ალბათ ტროსზე" ჩამოკიდებული ზღვის დიდი ფრინველი; 8. „კეტით სარტყმელი" ფუთა; 10. „შარიანი" გახუმრება; 11. „ემიას" სისხლნაკლებობა; 13. „ფრთებგაშლილი" მეიგავე (რუს.კავშ.); 14. „იატაკზე" აშენებული .მრავალნაირი „ფერის სიმებგაბმული" ქალაქი (რუს.ნაწ. კავშ.); 16. „სამი" საცვალი (რუს.კავშ.,); 19. უფერული მინერალი, რომელიც იძახის „ცი ვარო"; 20. „რესთვის პორტში" გადაცემული მომხდარი ამბების შესახებ; 22. ის, ვინც ერთმუჭად შეკრულ ქართველებს მიგვიძღოდა წინ (სიმღ.); 23. ის, რაც ღორმა ქრთამად მოითხოვა; 24. ბილის „ყველთან" ერთად გაქცევა (რუს.კავშ.); 25. „აზას" საყრდენი პუნქტი; 27. „მეორე მუსიკალური ნოტისადმი ვანში" სამაგიეროს მიზღვა; 31. „კირდასხმული" პუგაჩოვას მეუღლე; 32. „ბექას ობმოკიდებული" შემაღლებული ადგილი; 33. „დაბეჟილი" ყავისფერი; 34. „მექანიზებული კალამი"; 35. „ადას სამსაფეხურიანი" განეითარება (რუს.კავშ.).

ვერტიკალურად: 1. მარტო წყალი რომ სჭირდება, სწორედ ის ფხენილი; 2. „კოკოს" საყვარელ ვარდზე გასაფურჩქნი; 3. „სონის ფირმის" მოკრივე; 4. „ემა გაბონებული" ანსამბლი; 6. „ღამის ფრინველში მყოფი" ამერიკის პრეზიდენტი; 7. კასანდრას „ტორიანი" გვარი; 9. „ტიპოთი მოსეირნე გრაფების" სტამბა; 12. „შემრეკი" გიჟი; 15. უეიცი, რომელიც „მოდის" (რუს.კავშ.); 17. „ლიკას მეორე მუსიკალურ ნოტთან" შეპასუხება; 18. „ორი დორას" დერეფანი; 21. ლიტერატურული მუშაკი, რომელსაც ჟურნალზე „ფოთოლი" აქვს აფარებული (რუს.კავშ.); 26. „აფერისტი" სიტყვის ნაწილი „იქსი"; 28. „მოკიკინე" თავის ტკივილი; 29. „გაორებული" პატარა ჩიტი; 30. მუსულმანი სასულიერო პირი, რომელიც „იბი–ს გაძლევს" (ნაწ.რუს.კავშ.).

კობა ბაიდოშვილი

### წინა კაიფვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ტკივილი; 8. ტიგრანა; 10. იგავი; 11. პოდიუმი; 13. არდი; 14. ტიარა; 15. ნოტა; 16. ირაკლი; 17. კამეა; 20. ნუნცია; 21. კირა; 24. ბოლოკი; 26. ენა; 27. იბერია; 30. თაგვი; 31. არგველოდი; 33. კუბო; 35. თავადი; 36. ფილტრი; 37. გობი.

შვეულად: 1. საბატინი; 2. სარდინია; 3. სირტაკი; 4. ბატა; 5. ტირანა; 6. იმპოტენტი; 7. იოდი; 9. გლინკა; 12. უკრაინა; 18. ეკალა; 19. ანტენა; 21. კიბო; 22. აბვერი; 23. ბარი; 25. კურორტი; 28. რემბო; 29. სინდი; 30. თითი; 32. ელია; 34. ორბი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლო[ს] მიერ. №06/4-444